ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

„სახლში წინასწარ იყო შესული... ბავშვების ტანსაცმელს ჭრიდა და ბენზინს ასხამდა“ — ბარნოვზე მომხდარი მკვლელობის დეტალები

გვ.7

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



ორშაბათი, 16 აპრილი, 2018 №88 (7633) ფასი: 50 თეთრი

„ირაკლი კობახიძესა და მის გუნდს ქვეყნის მართვაზე გაუჩნდათ პრეტენზიები“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ცდილობს, მთელი პასუხისმგებლობა ივანიშვილს აჰკიდოს“

შალვა ხაჭაპურიძე: „შეწყალების კომისია კორუფციის ბუდედ იქცა“

გვ.3

„ერთად ვიხსნათ საქართველო აოხრებისგან!“

მანანა სალლიანი: „წინაპრებმა ეს წალკოტი იმიტომ არ დაგვიტოვეს, რომ ვილაცებმა ბარბაროსულად ჩიჩქნონ!“

გვ.4

სვანეთში აქციების ახალი ტალღისთვის ემზადებიან

სამართალი გვ.7

უკრაინიდან ქართველი „კანონიერი ქურდი“ ირაკლი ყალიჩავა, მეტსახელად „ხუტუ“, გააძევეს

სენაკში ჩვილის ცხედარი იპოვეს

ავტოავარია ხობში — მძღოლმა გონება დაკარგა და ავტომობილი სანიაღვრე არხში ჩავარდა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძალვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

ეკონომიკა გვ.6



მთაწმინდის საბაგიროს აღსადგენად ადგილობრივ მოსახლეობას სახლების დატოვება მოუწევს

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო მიწის შეძენის რეგულაციები ცნობილია

8 წლის ასაკში გაკეთებული ქვევრი და შენარჩუნებული ტრადიცია — ქვევრის თანამედროვე ოსტატები

ISSN 1987-9385

3 თორნიკე შარაშენიძე: „ამერიკამ რუსეთს დაუმტკიცა, რომ მაგარია“

2 კახა კალაძე: „პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის არანაირი დაპირისპირება არ არის“

5 ოთარ ანგურიძე: „ბანკები დამწყებ ბიზნესზე კრედიტს საერთოდ არ გასცემენ“

7 თბილისის ცენტრში 35 წლის კაცის ცხედარი აღმოაჩინეს

„ირაკლი კობახიძესა და მის გუნდს ქვეყნის მართვაზე გაუჩნდათ პრეტენზიები“

გია ხუხაშვილი: „ოცნება“ ცდილობს, მთელი პასუხისმგებლობა ივანიშვილს აჰკიდოს“

შორენა მარსაგიშვილი



„ოცნებაში“ მიმდინარე შიდა ჯახი სულ უფრო მწვავე ხდება. ამბოხებულების დასაოკებლად ქცევის კოდექსის შემოღებასაც კი აპირებენ, რომელიც პარლამენტის სპიკერმა უნდა დაწეროს.

გასული კვირის დასაწყისში „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ იჩხუბეს. კერძო საუბრებში ამ ფაქტს ყველა გვიდასტურებდა, საჯაროდ კი კატეგორიულად უარყოფდნენ.

გიორგი კვირიკაშვილსა და ირაკლი კობახიძეს შორის დაპირისპირებას რომ ჰქონდა ადგილი, ეს შაბათის „კურიერში“ გასული სიუჟეტითაც მტკიცდება.

რუსთავი 2-ს ხელში ჩაუვარდა მიმოწერა კვირიკაშვილსა და კობახიძეს შორის, რომელიც პარტიაში არსებულ დაპირისპირებას ადასტურებს.

მიმოწერიდან ირკვევა, რომ მთავრობის მეთაური პარლამენტის თავმჯდომარის მხარდამჭერ რამდენიმე დეპუტატზეა გაბრაზებული.

რატომ გახდა აუცილებელი ქცევის კოდექსის შემოღება, რით დაემსგავსნენ ახალგაზრდა მეოცნებეები კომკავშირლებს, რის აკიდებას აპირებენ ივანიშვილისთვის, რა პრეტენზიები გაუჩნდათ ირაკლი კობახიძესა და მის გუნდს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

– მმართველ გუნდში საოცარი ამბები ხდება, იმდენად საოცარი, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ქცევის კოდექსის დაწერაც კი გადაწყვიტა. ამასთან დაკავშირებით რა შეფასების გაკეთება შეიძლება?

– ეს უკვე ზღვარგადასული უცნაურობაა, რაც ამ ახალგაზრდის თავს ტრიალებს. გარკვეულწილად, კობახიძე მეცოდება კიდეც, იმდენად დრამატულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

პარლამენტში ანუ კოლეგიალურ ორგანოში ქცევის კოდექსის დაწერა ირაკლი კობახიძის სისუსტეზე მიანიშნებს. ამ გადაწყვეტილებით ის ამბობს: მე არ მაქვს ავტორიტეტი, არ შემიძლია ადამიანური ურთიერთობების აწყობა და ამიტომ უნდა ჩამოვწერო ქაღალდზე, როგორ დავიმორჩილო პარლამენტარებიო, რომლებიც სინამდვილეში მის დაქვემდებარებაში სულაც არ არიან.

პარლამენტის თავმჯდომარე ბავშვივით აბაკუნებს ფეხებს და ასე ცდილობს პოზიციების გამყარებას. იმას კი ვერ ხვდება, რომ ამ სისულელეებით თავის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

რეგლამენტით შეიძლება ლაპარაკი იყოს ზოგადად საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის დისციპლინაზე – დეპუტატი პარლამენტისა და კომიტეტის სხდომებს უნდა ესწრებოდეს და მისი გაცდენისთვის გარკვეული სანქციებიც არის დაწესებული, თუმცა რა, სად და როგორ უნდა თქვას კანონმდებელმა, ამის დარეგულირება რაღაც დოკუმენტით წარმოუდგენელია. ამის გაკეთება თავში 5 წლის ბავშვს თუ მოუვიდოდა.

პარლამენტის თავმჯდომარე წააგავს 5 წლის ბავშვს, რომელიც დედასა და მამას უწერს კანონებს, შოკოლადის მოპარვის გამო რომ არ დასაჯონ.

– მართლა დაწერს ქცევის კოდექსს? დეპუტატების ნაწილი კი დაეთანხმა ამას, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი აშკარად უკმაყოფილოა.

– ვინც ეს იდეა მოიწონა, ისინიც დიდ ტრაგიკომედიაში მონაწილეობენ. დარწმუნებული ვარ, გააზრებულიც კი არა აქვთ, რას იწონებენ.

– გააზრებული თუ არა აქვთ, რას იწონებენ?

– ეს დეპუტატების ის ნაწილია, რომელიც ყველაფერზე თანახმაა. მეტ-ნაკლებ პროფესიონალსა და საღი აზრის მატარებელ ადამიანს ქცევის კოდექსთან დაკავშირებით კითხვები გაუჩნდებოდა.

ახლა, იცით, რა არის ყველაზე საინტერესო? რას დაწერს კობახიძე. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ჩარჩოში ჩასასმელი და იუმორისტულ შოუში დეტალურად განსახილველი დოკუმენტი.

– თვალშისაცემი იყო ის გარემოება, რომ ქცევის კოდექსის დაწერას „ოცნების“ ახალგაზრდულმა ფრთამ დაუჭირა მხარი. არადა, წესით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამის წინააღმდეგი.

– ახალგაზრდების ფრთამ ამას იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ ისინი კობახიძესთან ერთად ერთ ჯგუფს წარმოადგენენ. აქ გუნდურ თამაშთან გვაქვს საქმე. ეს ახალგაზრდები ძალიან ჰგვანან კომკავშირლებს. ისინი კომკავშირის ცეკას ფილოსოფიით არიან მთლიანად გაჟღენთილები. მათ მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომკავშირი ჯერ კიდევ ცოცხალია.

კომკავშირული შემართებით ეს ახალგაზრდები რაღაც გაუგებარ ჯგუფურ თამაშს თამაშობენ. აქამდე მათ პარლამენტის მართვაზე ჰქონდათ პრეტენზია. ახლა ქვეყნის მართვაზეც გაუჩნდათ სრულიად დაუმსახურებელი პრეტენზია. ისინი არანაირ პარამეტრს არ აკმაყოფილებენ საიმისოდ, რომ ქვეყანა მართონ, არც გამოცდილება აქვთ და არც კომპეტენცია. მათ არც ფასეულობათა მყარი სისტემა გააჩნიათ.

ისინი ძალიან დიდი ტვირთის აწევას ცდილობენ, რომლის ზიდვაც არ შეუძლიათ. საქმე ის არის, რომ ჭიანჭველას თვისებებიც არა აქვთ, რომ ეს ტვირთი ცოტათი მაინც გადააჩოჩონ. ამიტომ არის ტრაგიკომიკური მათი ჭინთვები.

– ამბობთ, ქვეყნის მართვაზე გაუჩნდათ პრეტენზიებიო და ალბათ ამის შედეგია პარლამენტის თავმჯდომარისა და მთავრობის მეთაურის დაპირისპირება.

– ამას მე დაპირისპირებას არ დავარქმევდი. ეს არის გაუგებარი იწილო-ბიწილო. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არც კვირიკაშვილია მაინცდამაინც მოწოდების სიმაღლეზე. შესაბამისად, მათი ურთიერთგაბუტვები თინეიჯერული მენტალიტეტის გამოვლინებაა.

პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე ჩატში მიმოწერით არ უნდა არჩევდნენ საქმეებს, მით უმეტეს, მათი მიმოწერა არ უნდა ხვდებოდეს იმ ტელევიზიაში, რომელზეც ძალიან გამწარებული არიან. არც კი ვიცი, ამას რა დავარქვა. იმდენი პატარა ბოსტანი, იქ იჩიჩქნებიან და ცდილობენ, მეზობლის მხარეს ღობე ცოტათი გადასწიონ. მერე იმაზე იწყებენ ჩხუბს, შენი ხე ჩემს კიტრსა და პამიდორს ჩრდილავსო. აი, ამით არიან დაკავებული და ამას ეძახიან პოლიტიკას.

პარლამენტში ანუ კოლეგიალურ ორგანოში ქცევის კოდექსის დაწერა ირაკლი კობახიძის სისუსტეზე მიანიშნებს. ამ გადაწყვეტილებით ის ამბობს: მე არ მაქვს ავტორიტეტი, არ შემიძლია ადამიანური ურთიერთობების აწყობა და ამიტომ უნდა ჩამოვწერო ქაღალდზე, როგორ დავიმორჩილო პარლამენტარებიო, რომლებიც სინამდვილეში მის დაქვემდებარებაში სულაც არ არიან.



სამწუხაროა, რომ ისინი ვერ განვითარდნენ და ვერ ჩამოყალიბდნენ ლიდერებად. მეტსაც გეტყვით, განვითარების ნაცვლად დეგრადაცია განიცადეს. აპელირება ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორზე ხდება. დღეს ერთადერთი ძალის ცენტრი ის არის, მიუხედავად იმისა, რომ მას უნდა, ამ ხალხმა საკუთარ თავზე რაღაც პასუხისმგებლობა აიღოს.

მათ პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ და უკან უგდებენ ივანიშვილს. ეს არის პრობლემა.

– ქვეყნისთვის პრობლემაა, ისინი კი კომფორტულ სიტუაციაში არიან.

– კომფორტულ სიტუაციაში არიან და სახლობანას თამაშობენ. ჩვენც ახლა სახლობანაზე ვსაუბრობთ, რომელიც სახელმწიფოებრივად არაფერს ნიშნავს. ყველაფერი კი ბიძინას ბრალია. სხვათა შორის, ეს ჩვენი კანონმდებლობითაც ასეა – არასრულწლოვანი შვილი როცა რამეს აშავებს, ხშირ შემთხვევაში მშობელს სჯიან.

– აქაც იგივე ხომ არ მოხდება და ამათი ნამოქმედარის გამო ბიძინა დაისჯება?

– ფაქტობრივად, აქეთკენ მიჰყავთ საქმე, ცდილობენ, რომ სულ პატარები და სულ თინეიჯერები დარჩნენ.

– თქვენ გიყვართ ხოლმე ტერმინ გადამწიფებული თინეიჯერის ხმარება. ესენიც კარგა ხნის გადამწიფებული თინეიჯერები არიან და რატომ უნდა აგოს მათზე პასუხი მშობელმა, ამ შემთხვევაში ივანიშვილმა?

– ასაკით არიან გადამწიფებულები, თორემ ისევ თინეიჯერებად დარჩნენ და ეს საქართველოში არავის უკვირს. რამდენი 40 წელს გადაცილებული თინეიჯერი გინახავთ თქვენს უბანში, ლუდის სმისა და „სემიჩკის“ ფურთხების მეტს რომ არაფერს აკეთებს.

საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ფენომენია, 40 და 50 წლის ასაკშიც რომ მამის ხარჯზე ცხოვრობენ.

– რატომ უნდა აგოს ივანიშვილმა მათ ნამოქმედარსა თუ უმოქმედობაზე პასუხი? თქვენი აზრით, ის არაფერს მოიმოქმედებს?

– ნებისმიერი მშობელი გაორებულ მდგომარეობაშია და ალბათ იმავე დღეშია ივანიშვილიც – ერთი მხრივ, ხედავს, რომ ცუდად იქცევიან, მაგრამ, მეორე მხრივ, შვილია და ხომ არ გადააგდებს. რა უნდა ქნას.

– შიდა დაპირისპირების დროსაც კი ვერ დაივიწყა „ოცნებამ“ გიორგი მარგველაშვილი. ახლა მის წინააღმდეგ შეწყალების თემაზე დაიწყო შეტევა.

– ისინი ამ მეთოდით ცდილობენ ვიღაცისთვის ერთგულების დამტკიცებას. სინამდვილეში მარგველაშვილზე შეტევა სწორ ადგილზე მიმდინარეობს. მას რომ ეთქვა, საპრეზიდენტო არჩევნებში ვმონაწილეობო, კიდევ გავიგებდი რატომ დაიწყო მის წინააღმდეგ შეტევა. ახლა რასაც „ოცნება“ აკეთებს, ფეხების ბაკუნია და მეტი არაფერი.

– როგორ განვითარდება მოვლენები, თქვენი აზრით, რა გველოდება?

– არ ვიცი. ქაოსია. ქაოსში რამის გაკეთება შეუძლებელი ხდება. ინსტიტუციური წესრიგი ქვეყანაში მთლიანად მორღვეულია – ვინ რაზე აგებს პასუხს, აბსოლუტურად გაუგებარია.

იმდენი სუბიექტური ფაქტორი მოქმედებს, რომ პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. ქვეყნის მომავალი თუ გაინტერესებთ, ჯობია, ჩემ მაგივრად ლელა კაკულიას ესაუბროთ.

კახა კალაძე: „პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის არანაირი დაპირისპირება არ არის“

– პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს, არც უმრავლესობის დაშლის საფრთხე არსებობს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის მერმა კახა კალაძემ მმართველ პარტიაში არსებული დაპირისპირების თემის კომენტირებისას განუცხადა.

კახა კალაძის შეფასებით, მმართველ პარტიაში პროცესები ჩვეულებისამებრ მიმდინარეობს და მუშაობის დროს აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივია. მისი თქმით, უმრავლესობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. კალაძის განცხადებით, არავის გარიცხვაზე არ მიმდინარეობს მსჯელობა და ყველაფერი დალაგდება.

– პრემიერის და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს, არც უმრავლესობის დაშლის საფრთხე არსებობს. მესმის გარკვეულ ჯგუფებს აქვთ ამის სურვილი, მაგრამ ეს არ მოხდება. უმრავლესობა თავისუფალ რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. გუნდში როდესაც მიმდინარეობს მსჯელობა, არის აზრთა სხვადასხვაობა და ეს ნორმალური პროცესია. ჩვენ გამოვედით იმ მდგომარეობიდან, როდესაც ერთი კაცი წყვეტდა ყველაფერს და ერთი კაცის გემოვნებაზე იყო აგებული სახელმწიფოებრიობა და ქვეყნის მართვა. არავის გარიცხვაზე არ მიმდინარეობს მსჯელობა. ყველაფერი დალაგდება, – აღნიშნა კახა კალაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შალვა ხაჭაპურიძე: „შეწყალების კომისია კორუფციის ბუდედ იქცა“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუუფლებადამცველ შალვა ხაჭაპურიძესთან

– ბატონო შალვა, შეწყალების კომისიის ირგვლივ ბოლო დღეებია ხმაური და აჟიოტაჟი არ ცხრება. საზოგადოება რისხვას ვერ ფარავს. უკვე ყბადაღებულ თემად იქცა, რომ პრეზიდენტი საკმაოდ მძიმე დამნაშავეებს იწყალებს. ორი დღის წინაც ვნახეთ, რომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა 25 წლის გოგოს ორი შვილის თვალწინ ყელი გამოსჭრა. რა იტყვით თქვენ ამ ყველაფერზე? განმარტებას პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არავინ აკეთებს, თუ რატომ ხვდებიან ასეთი ადამიანები შეწყალებულთა სიაში.

– ზოგადად ამ ინსტიტუტმა მიიღო გაუკუღმართებული სახე საქართველოს სინამდვილეში. ეს კომისია და ეს ინსტიტუტი ერთადერთი იყო, რომელიც შედარებით ნორმალურად მუშაობდა შევარდნაძის დროს. რამდენად გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ასეა. განსხვავებით იმათგან, ვინც შემდგომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, შევარდნაძის მერე, ესენი არცერთი პოლიტიკოსები არ არიან.

– აბა, ვინ არიან?

– ზოგი ვაჭარია, ზოგი ფილოსოფოსობს და ზოგი თავად კრიმინალია. დღეს შეწყალების კომისია კორუფციის ბუდედ იქცა.

– ამის თაობაზე აქტიურად საუბრობენ.

– რად უნდა ამას საუბარი, ამის უამრავი ფაქტი და მაგალითი არსებობს. პირადად ჩემს მაგალითს გეტყვით. მომმართეს შეწყალების დაწერაზე პრეზიდენტთან, გაუპატიურება იყო და უარი ვუთხარი, გამორიცხულია-მეთქი. ოჯახმა მაინც დაწერა, წავიდნენ, ვიღაცები ნახეს, შეაწუხეს, არ ვიცი ყველა დეტალი და შეიწყალეს. გარეთ არის დღეს ეს ბიჭი. თავიდან, იცით, როგორი პოზიცია დაიკავა მარგველაშვილმა? ჩვენ სასამართლოს მიერ დაშვებული ხარვეზების გამოსწორებას ამ კომისიით ვერ დავიწყებთო.

– ანუ?

– მან თავიდანვე უარი უთხრა იმ 9-წლიანი რეჟიმის პერიოდში დაპატიმრებულ ადამიანებს. სხედან ის ადამიანები დღესაც და საკმაოდ ბევრნი არიან. მაგალითად, გეტყვით ავთანდილ ბერიძის საქმეს. მივცეთ ეს საქმე საზოგადოებას განსახილველად. ვიღაც ერთმა პირმა თქვა, ამ კაცმა მე მომყიდა 0,000 რაღაცა გრამი ნარკოტიკი და კაცი უკვე მე-12 წელიწადია ზის, წერს განცხადებებს პროკურატურაში, გადახედეთ ჩემს საქმესო, სასამართლოსაც მიმართა, მაგრამ ვინ გადახედავს, ვინც გაასამართლა, იგივე მოსამართლეები არიან. აბსოლუტურად უდანაშაულოა კაცი, უკვე რამდენჯერ მიმართა შეწყალების კომისიას. მუშა პატიმრად მუშაობს. სამაჯურის გამოყენებაზე კახიშვილის უწყებაც უარს ეუბნება. ალბათ უკვე მეათე შეწყალებაა, მარგველაშვილი უარს ეუბნება.

– რა არის უარის თქმის საფუძველი?

– ერთი დასაბუთებული დოკუმენტი არ მოდის, რატომ ეუბნებიან უარს. ახლა ამოიღეთ ავთანდილ ბერიძის საქმის მსგავსი საქმეები, სადაც მარგველაშვილის ცოლოულობაა გარეული. ნახავთ, რომ შეწყალებულია ეს ხალხი. სააკაშვილის პერიოდში იყო და პოლიტიკური ნიშნითა და კორუფციით ხდებოდა. სააკაშვილს ისეთი ჰყავს შეწყალებული, 1500 აბი სუბოტექსი ჰქონდა! სამუდამო ჰქონდა მისჯილი. ადვოკატი რომ ხარ, ამ ამბებს, გინდა, არ გინდა, იგებ.

– დღესაც სერიოზულ კორუფციაზეა საუბარი და ამას თქვენ ადასტურებთ?

– დიახ, ასეა. კონკრეტულად მარგველაშვილს რაც შეეხება, მას ხომ შეუზღუდეს უფლებები, სხვას ვერაფერს აკეთებს, კაცი ადგა და გადავიდა ამ საქმეზე, რასაც უნდა, იმას აკეთებს ამ შეწყალების კომისიებში. ღმერთის აღარ ეშინია?! რომ ხედავს, ხალხს 12 და 15 წელი აქვს მისჯილი აბსოლუტურად უაზრო განაჩენებზე და ხედავ, რომ, ასე ვთქვათ, უპატრონოები არიან, ვერ მოხვდნენ ამ შენი ცოლის ნათესავების სიაში, ბიჭო, ერთი მაინც მიაყოლე ამ ცოლის ნათესავებს და ერთი მაინც შეიწყალე ზრდილობის გულისთვის! მერე ამოჩემება იციან.

– ამოჩემებაში რას გულისხმობთ?

– მე ხომ ვაკრიტიკებ მარგველაშვილს და რომელ საქმეზეც ჩემი ხელმოწერა იქნება, მორჩა, გამორიცხულია, რომ ის საქმე განიხილონ მაინც შეწყალების კომისიაში. ასეთი ბოღმიანი, მარგველაშვილი რომ არის, სააკაშვილიც არ ყოფილა. ყველამ კარგად იცის, მისი ლანძღვის მეტს არაფერს ვაკეთებდი, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, შემიტანია შეწყალებაზე განცხადება და შეუწყალებია. ქორიძე კიდევ მარგველაშვილზე უარესია! ადამიანის შეცოდება, განაჩენების გადახედვა გამორიცხულია. არაპროფესიონალების ზენიტია.

– საკმაოდ საშიში დამნაშავეები გამოდიან გარეთ და შემდეგ საზოგადოება ამ შედეგს იმკის. ამაზე პასუხისმგებლობა არავის ეკისრება?

– ეს ერთი უბედურებაა, ამაზე მოგახსენებთ, მეორე – განაჩენი გამოუტანეს პირს, მოსამართლე მაშინვე გეუბნებათ, რომ თქვენ გაქვთ უფლება, ხვალიდანვე მიმართოთ შეწყალების კომისიას. ადგა მარგველაშვილი და მიიღო დადგენილება, თქვა, მხოლოდ ნახევარი თუ ექნება ადამიანს მოხდილი, ამ შემთხვევაში შევიწყალებო, თუმცა იქვე ჩაწერა, რომ მისი შეხედულებით, შეუძლია, სხვანაირადაც მოიქცეს, ანუ რასაც უნდა, იმას აკეთებს.

– შედეგიც სახეზეა.

– დიახ, შედეგსაც ვიმკით. კომისია მკვდარია, ნაცნობობით, მეგობრობითა და ჩაწყობით როცა ხდება შეწყალება, იქ არ ხდება რეალურად სიტუაციის შესწავლა. რა პიროვნებასთან გვაქვს საქმე, რა საფრთხეები შეიძლება ამ ადამიანმა მოიტანოს, ანუ არ ხდება საქმის სამართლებრივი ანალიზი. გავსებულია ეს კომისიები მსახიობებით, მოცეკვავეებით, ჟურნალისტებითა და სასულიერო პირებით, იურისტები კი არ ჰყავთ.

– ბატონო შალვა, საზოგადოება აღშფოთებულია და ბოლო ორი დღეა სვამს კითხვას, როდესაც პრეზიდენტის მიერ შეწყალებული შეწყალებიდან ძალიან მცირე დროში ასეთ სასტიკ დანაშაულს ჩადის, ვალდებულია თუ არა შეწყალების კომისია, გამოვიდეს და განმარტებები გააკეთოს?

– რა თქმა უნდა, ვალდებულია. თუმცა, მოდით, ვთქვათ ისიც, რომ ამ ეტაპზე ამის სამართლებრივი ვალდებულება არ არის, მაგრამ არსებობს ზნეობრივი საკითხი. ბოლოს და ბოლოს, ადგეს ეს პარლამენტი და დაადგინოს, შეწყალების რა წესი უნდა არსებობდეს. ასე მომინდა და შევიწყალეო, როდემდე უნდა იყოს?! რაღაც კრიტერიუმები ხომ უნდა არსებობდეს. ნახავ, არ არის არანაირი მსჯელობა და შეწყალებულია. ერთი-ორი ისეთი შეიწყალა, რომ, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა, ზუსტად ვიცი, რომ კარგს არაფერს იზამენ.

– ამის შესაჩერებლად კანონში არანაირი ბერკეტი არ არსებობს?

– არ არსებობს. მინდა და ვიწყალებო, გვეუბნება მარგველაშვილი. პარლამენტი რას აკეთებს, საკითხავია, რატომ არ იღებს კანონს ამის შესაჩერებლად?! მერე ვიღებთ ისეთ ტრაგედიებს, როგორიც ორი დღის წინ მოხდა და რაც იმ ახალგაზრდა ქალბატონს დამართეს. პარლამენტი რომ ხარ, ასეთ საკითხებზე არ უნდა მუშაობდე?! იქნებ მოიცალონ ამისთვის. მარტო იმისთვის რომ ჩხუბობენ და ჭამენ ერთმანეთს, 2020-ში ვის რა ადგილი ერგება. საშიშია ჩვენი პრეზიდენტი, ვერ ატყობთ, როგორი დაბოღმილია? ამხელა სასახლეში დადის მარტო. არ არის გამორიცხული, მოხვიოს ხელი და ისეთი მკვლელები გამოუშვას გარეთ, რომ სასწაულები დაატრიალონ აქ. ეს არის შეურაცხადი ადამიანი და პლუს კორუმპირებული. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

– ეს ხომ დანაშაულია!

– ეს თუ არ უნდა დაინახოს პროკურატურამ, კი ბატონო, მაგრამ პროკურატურასაც მოუწევს ამის დანახვა. მე ვაპირებ გავარკვიო, ვის იწყალებს პრეზიდენტის კომისია და ვის არ იწყალებს, მივმართავ სტრასბურის სასამართლოს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ადამიანების დისკრიმინაციას ახდენს! ერთი ტაბლეტი სუბოტექსისთვის უნდა გამოკეტონ ციხეში 10-12 წლით და მეორეს სამასი ტაბლეტი უპოვეს და გარეთ უშვებ, იმიტომ რომ მისი ცოლის ბიძაშვილია?! ეს კაცი გიჟია თუ ვინ არის საერთოდ?! თანაც აფარებული აქვს სახეზე იმიჯი, რომ ვითომ დემოკრატიისთვის მებრძოლია. დემოკრატიისთვის მებრძოლი კი არა, ჩვეულებრივი ყვარყვარე თუთაბერია! ბიძინა ივანიშვილსაც რა ვუთხარი კიდევ, სად მოძებნა და საიდან მოათრია! ერთი სააკაშვილი გვჭრიდა თავს და მეორე ეს არის! ერთი შეწყალების კომისია აბარია და ისიც მკვლელებისა და ბარიგების ბუდედ აქცია.

თორნიკე შარაშენიძე: „ამერიკამ რუსეთს დაუმტკიცა, რომ მაგარია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, მსოფლიო საზოგადოება შიშით შეჰყურებდა იმ პროცესებს, რომლებიც სირიის მიმართულებით ვითარდება. ყველა ელოდა რუსეთისგან საპასუხო დარტყმებს, თუმცა რუსეთმა ამ ეტაპზე თავი შეიკავა. როგორია თქვენი შეფასებები, რა პროცესებს უნდა ველოდოთ?

– ყველაფერი ალბათ ამით დამთავრდა, ყოველ შემთხვევაში – ამ ეტაპზე. ტრამპი დაიმუქრა, რომ გაისვრიდა და გაისროლა. რუსები იმუქრებოდნენ, რომ თუ ამერიკელები გაისროდნენ, საპასუხოდ დაბომბავდნენ ამერიკულ ხომალდებსა და ბაზებს, საიდანაც მოხდებოდა გასროლა, მაგრამ ეს არ ქნეს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ უშუალოდ ერთმანეთთან კონტაქტში შესვლას ორივე მხარე მოერიდა, ვინაიდან ორივეს ბირთვული იარაღი აქვს. ამერიკელები მოერიდნენ იმ ადგილების დაბომბვას, სადაც რუსები იმყოფებოდნენ და რუსებიც, ბუნებრივია, მოერიდნენ, რომ ესროლათ ამერიკელებისთვის უშუალოდ. ამერიკელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, აი, რა მაგრები ვართო, იმიტომ რომ გაისროლეს და რუსებმა არ უპასუხეს. პრინციპში, ამ ეტაპზე მათ მეტი დასამტკიცებელი არაფერი აქვთ. ერთხელ დაამტკიცეს, როდესაც რუსი დაქირავებულები გზაზე ამოხოცეს დაახლოებით ორი თვის წინ, ახლა დაამტკიცეს იმით, რომ გაისროლეს და რუსებმა ვერ უპასუხეს. აი, ეს არის ამერიკელების პოზიცია.

– რუსების პოზიციაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება რუსებს, ისინი მთელი დღეა თავიანთ ტელევიზიებში ყოყლოჩინობენ, რომ ამერიკელების მიერ გასროლილმა რაკეტებმა ვერაფერი დააზიანა და არც არაფერი მოიტანა, რომ რეალურად რუსებს არ სჭირდებოდათ ამერიკელებისთვის პასუხის გაცემა, რადგან ამერიკელებმა ააცილეს, ვერ დაბომბეს და ასე შემდეგ... და ორივე მხარე ყვირის, განსაკუთრებით რუსეთი ყოყლოჩინობს, რომ ყველაფერი კარგად არის.

– ბევრი შეფასება მოვისმინეთ, ითქვა ისიც, რომ ამ ეტაპზე რუსეთს არ აწყობს სერიოზულ კონფლიქტში შესვლა, ისედაც ბევრი პრობლემა აქვს. კერძოდ, რა პრობლემებზეა საუბარი?

– ამერიკასთან ომი რაში აწყობს ვინმეს, ჭკუათმყოფელს. არც რუსეთს აწყობდა. ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა, გაერიდნენ ერთმანეთს. ორივე მხარე გაერიდა. ან ამერიკას რაში აწყობს რუსეთთან უშუალო დაპირისპირება და ომი?! ამდენი ხანია ითმენენ და სირიის გამო არ დაიწყებენ ომს. სირია არცერთი მხარისთვის არ არის გადამწყვეტი და სასიცოცხლო მნიშვნელობის. ამიტომ ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც გრძელდებოდა, რა თქმა უნდა, რუსეთს ახალ სანქციებს დაადებენ.

– იმუშავებს ეს სანქციები?

– გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთს სანქციები ასუსტებს, მოკლევადიანში – ნაკლებად, ამიტომაც დრო

მუშაობს რუსეთის წინააღმდეგ. თუ სანქციები არ მოიხსნება. შესაბამისად, არავის ეჩქარება ომი რუსეთთან, არავის სჭირდება კატასტროფა, რაც, მოხდა საკმარისი იყო, გაჩუმდა ორივე მხარე და თავის გამარჯვებას ზეიმობს. თუმცა რუსეთს ნაკლებად აქვს საზეიმო, რადგან იმუქრებოდნენ, რომ პასუხად დაბომბავდნენ ამერიკულ ხომალდებს და ეს ვერ გაბედეს.

– სანქციებზე საუბრობდით და აზარალებს რუსეთს სანქციები?

– ისე ვერა, რომ დაანგრიოს, მაგრამ გრძელვადიანში ეს სანქციები გამოიწვევს მის ტექნოლოგიურ ჩამორჩენას და ეს არის საქმე, თორემ ასე მარტივად ვერ შეარყევს სერიოზულად. სხვა თუ არაფერი, რუსეთს ნახევარი ტრილიონი დოლარის რეზერვები აქვს დაგროვილი და რეზერვები იმხელაა, რომ შეუძლია, გარკვეული რყევები გადაიტანოს, მით უმეტეს, ეს რყევები ძალიან სერიოზულიც არ არის.

– ამერიკა შეწყვეტს სირიის მიმართულებით იერიშს?

– ამ ეტაპზე დაამთავრებს, იმიტომ რომ მან მიაღწია თავისას, თავისი დაამტკიცა და მეტი რაღა უნდა დაამტკიცოს, ცოტა გაუგებარია. რაში სჭირდება სიტუაციის დამატებითი გამწვავება?!

– ანუ რუსეთთან მოსინჯა ძალები, მასთან ჰქონდა დასამტკიცებელი?

– მხოლოდ რუსეთთან არა, ყველასთან ჰქონდა დასამტკიცებელი, მაგრები ვართო.

– ქართული მხარის პოზიციაზე რას იტყვით, გაკეთდა სხვადასხვაგვარი განცხადება და შეფასება, თუმცა, ითქვა ისიც, რომ უმჯობესია, ქართული მხარე იყოს ჩუმად, რადგან პატარა ქვეყანაა და შესაძლოა გაისრისოს ამ ორ გიგანტ სახელმწიფოს შორის. რას იტყვით თქვენ?

– საქართველოს არავინ არაფერს ეკითხება და საქმე ალბათ ამ განცხადებების იქით არ წავა. ჩვენ ამ კუთხით არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. ჩვენ არაფერ შუაში ვართ! არც რუსეთიდან უნდა ველოდოთ საფრთხესა და აგრესიას. კონფლიქტი ამ ეტაპზე ამოწურულია, ერთი გაისროლეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ეს რომ ყოფილიყო განგრძობადი კონფლიქტი, მაშინ შეიძლებოდა რაღაც საფრთხე ჩვენი მიმართულებით, მაგრამ დღეს – არანაირი.

– მსოფლიოში საპროტესტო გამოსვლები იწყება ამ დაბომბვების წინააღმდეგ. გმობენ ტრამპის ქმედებას?

– რატომ უნდა იყოს ეს აქციები? დაბომბვები განხორციელდა ქიმიური იარაღის გამოყენების საპასუხოდ. აქციები თუ იქნება, უნდა იყოს პუტინისა და ასადის წინააღმდეგ. მათ გამოიყენეს ქიმიური იარაღი.

– და რა გარანტიაა, რომ კიდევ არ გამოიყენებს?

– მე გამიკვირდა, ახლა რომ გამოიყენა ქიმიური იარაღი. ამ ეტაპზე არაფერში სჭირდებოდა. სამოქალაქო ომი ასადმა რეალურად მოიგო და რად უნდოდა კიდევ ქიმიური იარაღი? ეს სიგიჟე იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ვიღაც– ვიღაცებისგან გამორიცხული არაფერია.

– როგორ განვითარდება პროცესები? ძალთა გადალაგებისა და ახალი განლაგების პროცესს ვადევნებთ თვალსო. ასეა?

– სირიაში, პრაქტიკულად, დალაგდა ყველაფერი. ეს დაბომბვა არაფერს შეცვლის. სირიაში ტერიტორიის ნახევარზე მეტს აკონტროლებს ასადი. მან, პრინციპში, გაიმარჯვა სამოქალაქო ომში რუსეთის დახმარებით და ეს ფაქტია. რუსეთმა კონკრეტულ სიტუაციაში თავისი პოზიციები დააფიქსირა და ძალები აჩვენა. ესეც ფაქტია. თუმცა ეს რამდენად გააძლიერებს მომავალში რუსეთს, სხვა საკითხია. ვნახავთ, რამდენად წაადგება რუსეთს სირიაში მოპოვებული გამარჯვება. ეს ჯერ კიდევ საკითხავია. ამას მომავალი გამოაჩენს.

„ერთად ვიხსნათ საქართველო აოხრებისგან!“

შორენა მარსაგიშვილი

მანანა საღლიანი: „წინაპრებმა ეს წალკოტი იმიტომ არ დაგვიტოვეს, რომ ვილაცებმა ბარბაროსულად ჩიჩქნონ!“

საქართველოში ჰესომანია მძვინვარებს. ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ პირებს ქვეყანაში კიდევ 150-მდე ჰესის აშენება აქვთ განზრახული. მათმა მისწრაფებამ დარიალისა და ხდის ხეობები, ფაქტობრივად, გაანადგურა, მილებში მოქცეული თერგი ნაკადულად არის ქცეული.

აოხრება და განადგურება საქართველოს სხვა კუთხეებსაც ემუქრება. თუმცა, ხევისგან განსხვავებით, ეს კუთხეები ხელისუფლებისთვის იოლ ლუკმად არ იქცა. სვანების დაწყებულმა პროტესტმა თავისი შედეგი გამოიღო. მათ პროტესტს წასალეკად გამეტებული რაჭის, ლეჩხუმისა და პანკისის მოსახლეობაც შეუერთდა.

სვანების საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი მანანა საღლიანი იმედოვნებს, რომ მალე ქუჩაში მთელი საქართველო გამოვა. მისი თქმით, მხოლოდ ასე შეიძლება ქვეყნის გადარჩენა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქაურობა ხრიოკად გადაიქცევა.

გიგანტური ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ 14 აპრილს თბილისში გაიმართა აქცია, გუშინ, 15 აპრილს კი პანკისელებმა გააპროტესტეს თავიანთი კუთხის აოხრების მცდელობა.

რას ითხოვენ პანკისელები, რა პრობლემების წინაშე დგანან ადგილობრივები, რა იგეგმება მესტიაში, რატომ უნდა დადგეს მთელი საქართველო ერთად? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მანანა საღლიანი ესაუბრება.

მანანა საღლიანი:

– საქართველოს გადასარჩენად ვაგრძელებთ ბრძოლას. 14 აპრილს თბილისში გავმართეთ აქცია, 15 აპრილს კი პანკისელების პროტესტს შევუერთდით. მეც ჩავედი იქ. ვუსმინე ამ ხალხს და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოს ასეთი შვილები ჰყავს. მათ ძალიან უყვართ ჩვენი ქვეყანა და ჩვენთან ერთად მზად არიან, მისი ბუნების გადასარჩენად იბრძოლონ.

პანკისში რამდენიმე ჰესი უკვე აშენებულია და ახლა დამატებით ჰესს აშენებენ. ამის გამო ალაზნის დიდი ნაწილი მილებში უნდა მოაქციონ. ეს კლიმატის ცვლილებას გამოიწვევს. ამის გარდა, განადგურდება საოცარი სილამაზის ადგილი. სადაც ჰესის აშენებას აპირებენ, იქ ჩანჩქერებად იშლება მდინარე. საოცარი სილამაზეა და ეს ადგილი ტურისტებისთვის არის მიმზიდველი. ეს სილამაზე თუ გაანადგურეს, ბუნებრივია, ტურისტიც აღარ იქნება და აოხრებული ბუნება შეგვრჩება.

პანკისელები არ აპირებენ ამასთან შეგუებას და მზად არიან, საპროტესტო აქციებით ხელი შეუშალონ ხეობის განადგურებას.

– გასული წლის ბოლოს პანკისში ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც 18 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი დაიღუპა. პანკისელები ამას ძალიან მტკივნეულად განიცდიან. ისინი გამოძიების სამართლიანად ჩატარების მოთხოვნით აქციების გამართვასაც აპირებენ. ჰესის საწინააღმდეგო აქციები ხომ არ დაძაბავს სიტუაციას?

– ამაზე პანკისშიც იყო საუბარი. გამომსვლელებმა თქვეს, ჩვენზე, როგორც ტერორისტებზე, ისე ლაპარაკობენო. არ გამორიცხავენ, რომ ჰესების წინააღმდეგ გამართულ აქციას რამე კუდები გამოაბან. ამის მიუხედავად, ისინი ბრძოლას გააგრძელებენ და ჩვენ მათ გვერდით ვიდგებით.

ტერორიზმი ის არის, რასაც ახლა საქართველოს ბუნებას უკეთებენ. ასე საქართველოს ბუნება არავის აუოხრებია, როგორც ამათ ააოხრეს.

– პანკისში გამართულ აქციაზე ბევრი ხალხი იყო?

– ბევრი ხალხი იყო, მაგრამ ამას უფრო შეკრებას დავარქმევდი. შეხვედრა დუისის კულტურის სახლში გაიმართა. ძალიან მწვავე და სამართლიანი განცხადებები გაკეთდა. თბილისიდანაც იყო ხალხი ჩასული. სვანებიც ბლომად ჩამოვიდოდნენ, მაგრამ მესტიაში წავიდნენ. იქ ახალი აქციისთვის ემზადებიან.

– რა აქციისთვის ემზადებიან, მესტიაჭალა ჰესის მშენებლობის განახლებას აპირებენ?

– ჯერ არა, მიღწეული შეთანხმება ძალაშია და გაჩერებული არიან. მიმდინარე წლის 21 აპრილს ნენსკრაჰესის მშენებლობის წინააღმდეგ გაიმართება დიდი აქცია ჭუბერში. სწორედ ეს დავაანონსეთ 14 აპრილს გამართულ აქციაზე.

14 აპრილის აქციასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გავაკეთეთ, მეგონა, რომ უფრო მეტი ხალხი მოვიდოდა. ვინც მოვიდა, იმათ დიდი მადლობა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენმა აქციამ შედეგი გამოიღო.

– შედეგში რას გულისხმობთ?

– აქამდე ჩვენს აქციას პოლიტიკოსები არ ეკარებოდნენ. 14 აპრილის აქციაზე ისინიც გამოჩნდნენ, რაც კარგი ამბავია.

– ვინ მოვიდა პოლიტიკოსებიდან?

– „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. მოვიდა ლევან ლორთქიფანიძე. იყო ლაშა ჩხარტიშვილიც, რომელიც ისედაც სულ ჩვენთან არის. დარწმუნებული ვარ, ჩვენს პროტესტს მომავალში სხვა პოლიტიკოსებიც შეუერთდებიან.

– მესტიაჭალა ჰესთან დაკავშირებით 20 აპრილს უნდა გამართულიყო საჯარო განხილვა. რამე ხომ არ შეიცვალა?

– განხილვის თარიღი შეიცვალა. შეთანხმებული ვიყავით, რომ შეხვედრა 20 აპრილს კავკასიურ სახლში გაიმართებოდა. ამ შეხვედრაზე ჰესების მშენებელი მხარე თავის არგუმენტებს წარმოადგენდა, მესტიელები – თავისას. უამრავი სპეციალისტი მოვიწვიეთ ამ შეხვედრაზე, მათ შორის მყინვარების სპეციალისტები.

ერთ-ერთი ექსპერტი, რომლის მოსაზრებაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, 20 აპრილს თბილისში არ იქნება. ამიტომაც შეიცვალა განხილვის თარიღი.

– როდის იქნება განხილვა?

– 18 აპრილს შევიკრიბებით. შეხვედრა საჯარო ბიბლიოთეკაში გაიმართება. ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ბუნება, ყველა უნდა დაესწროს ამ შეხვედრას. საკმარისი არგუმენტები გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ მესტიაჭალა ჰესის აშენება არ შეიძლება.

– თქვენი აზრით, გაიზიარებენ ამ არგუმენტებს? მათ ყველაზე უკეთ იციან, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ამ საქმიდან ფული კეთდება და ყველაფერზე მიდიან.

– ჩვენს არგუმენტებს არ გაიზიარებენ, მაგრამ სპეციალისტებს ხომ უნდა მოუსმინონ? სპეციალისტების თუ არ სჯერათ, ბუნებას მოუსმინონ. შარშან, აგვისტოში, მდინარე მესტიაჭალამ, რაც კი რამე ჰქონდათ აშენებული ჰესისთვის, სულ დაუნგრია. მომავალშიც იგივე მოხდება და სვანეთში უბედურება დატრიალდება.

არგუმენტებს თუ არ გაიზიარებენ და უარს არ იტყვიან სვანეთის აოხრებაზე, ამას ძალით შევაჩერებთ. ჩვენ ტყუილად არ დაგვიწყია საპროტესტო მოძრაობა – ბრძოლა იქნება ბოლომდე.

– თქვენ წინააღმდეგ ასეთი შავი პიარია დაწყებული, რომ ცივილიზაციას ეწინააღმდეგებით. ბრძოლის გააქტიურებას შავი პიარის გაძლიერება მოჰყვება. მზად ხართ ამისთვის?

– ყველაფრისთვის მზად ვართ. მინდა, ჩვენს საზოგადოებას კარგად ავუხსნა, რომ ცივილიზაციას ჩვენ კი არა, ის ხალხი ეწინააღმდეგება, ვინც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბარბაროსული მეთოდებით ცდილობს ჰესების აშენებას.

სვანეთში აქციების ახალი ტალღისთვის ემზადებიან

რას ნიშნავს, ცივილიზაციას ვეწინააღმდეგებით, სადმე ვთქვით, რომ 21-ე საუკუნეში დენის გარეშე უნდა ვიყოთ? მთელი ცივილიზებული სამყარო მცირე ჰესებსა და ქარისა თუ მზის ენერგიაზეა გადასული. ააშენონ მცირე ჰესები, ამას არავინ ეწინააღმდეგება.

21-ე საუკუნეში ყველა ცდილობს, საკუთარი ისტორიული ძეგლები და ბუნება დაიცვას. ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ჩვენთან ოღონდ ჰესი აშენდეს და მზად არიან, რაჭა, სვანეთი, ლეჩხუმი, ხევი და პანკისი დატბორონ. ახლა მითხარით, ვინ არის ცივილიზაციის წინააღმდეგი.

სვანებს საკმაოდ დიდი ხანია, ამ მონსტრთან გვიწევს ბრძოლა. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოხატა ჩვენ მიმართ მხარდაჭერა, მაგრამ მეტი აქტიურობაა საჭირო. ხელისუფლებას ჩვენი ძალა უნდა დავანახოთ. მათ ხალხის ძალა რომ დაენახათ, დამატებით 150-მდე ჰესის აშენებას ვერ გაბედავდნენ.

ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის და ყველა ჩვენგანი ვალდებულია, გარეთ გამოვიდეს – ერთად ვიხსნათ საქართველო აოხრებისგან. კარგად მესმის, რომ საზოგადოებაში სერიოზული დაპირისპირებაა, მაგრამ, როცა ქვეყანას სჭირდება, პირადი წყენა გვერდზე უნდა გადავდოთ და ყველაზე მიუღებელი ადამიანის გვერდითაც კი უნდა დავდგეთ.

– საქართველოში ამის გაკეთება ადვილი არ არის.

– მთავარია მონდომება. მამაჩემისგან მსმენია, რომ ადრე სვანეთში იყო ეკლესია, რომელსაც 3 კარი ჰქონდა. მოგეხსენებათ, სვანებში ხშირად იყო შუღლი და გვარები მტრობდნენ ერთმანეთს. როცა მტერი შემოესეოდა ქვეყანას, ეს მოსისხლედ გადაკიდებულები სამკარიან ეკლესიაში შედიოდნენ. ერთი მხარე მარჯვენა კარიდან შევიდოდა, მეორე მხარე – მარცხენა კარიდან. ცენტრალური კარიდან შედიოდა ის, ვინც მათ შერიგებას ითავებდა.

შევიდოდნენ თუ არა მოსისხლე მტრები ეკლესიაში, პირჯვარს გადაიწერდნენ, ერთმანეთს ხელს ჩამოართმევდნენ, გადაკოცნიდნენ და რიგდებოდნენ, მერე ფიცს დებდნენ, რომ ერთად იბრძოლებდნენ მტრის წინააღმდეგ.

ჩვენ ერთმანეთის მოსისხლეები არ ვართ, ამიტომაც უფრო მარტივად უნდა გავერთიანდეთ საქართველოს საერთო მტრის წინააღმდეგ. ის, რასაც ახლა მეჰესეები აკეთებენ, ყველაზე დიდ დამპყრობელსაც კი არ გაუკეთებია.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩუმად თუ იქნებიან, არაფერი მოხდება. ტყუილად აქვთ ამის იმედი. ჩემს ეზო-კარს რომ ამიოხრებენ, მერე მათ კარ-მიდამოს მიადგებიან. არავისი აზრი არ აინტერესებთ. მათი გაჩერება მხოლოდ ხალხის ძალას შეუძლია. ჩვენი მცირე პროტესტით მესტიაში შედეგს მივაღწიეთ. მთელი საქართველო ჩვენ გვერდით რომ დამდგარიყო, სხვა რეგიონებსაც ვიხსნიდით. ამიტომ უნდა დავუდგეთ ერთმანეთს გვერდში.

– თქვენი აზრით, ჭუბერის აქციაზე ბევრი ხალხი მოვა?

– შემოგვიერთდება თუ არა დანარჩენი საქართველო, არ ვიცი, მაგრამ მთელი მესტია იქ იქნება. მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, ბოლომდე ვიბრძოლებთ და სვანეთის დატბორვის უფლებას არავის მივცემთ.

ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ღვრიდნენ სისხლს იმისთვის, რომ ეს წალკოტი, რომელსაც საქართველოს ჰქვია, ჩვენამდე მოეტანათ. ჩვენ რა უფლება გვაქვს, მას არ გავუფრთხილდეთ.

– რამდენადაც ვიცი, სვანეთში, ჰესების გარდა, ოქროს მოპოვების წინააღმდეგაც იგეგმება რაღაც ღონისძიებები. ამ მიმართულებით რა ხდება?

– რა ხდება და ეს სვანეთის აოხრების მეორე გზაა. შემოსული იყვნენ უცხოური კომპანიები და ბარბაროსული მეთოდებით აპირებდნენ ოქროს მოპოვებას. ეს გაანადგურებდა სვანეთის უნიკალურ ბუნებას. ახალგაზრდები მიუცვივდნენ იმ კომპანიას და მესტიიდან გააძევეს.

– თქვენი აზრით, ამ მიმართულებით გამარჯვება მიღწეულია?

– ასე იოლად არ დანებდებიან. დანებებასა და გაჩერებას არც ჩვენ ვაპირებთ. წინაპრებმა იმიტომ არ დაგვიტოვეს ეს წალკოტი, რომ ვილაცებმა ბარბაროსული მეთოდებით ჩიჩქნონ. ამ მიმართულებითაც ვაგრძელებთ ბრძოლას. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს.

მამუკა ბახტაძე: „ბანკები ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული სექტორია“

– ჩვენ გვაქვს ის მოცემულობა, რომ ხშირ შემთხვევაში იდეები, პროექტები ვერ ხორციელდება იმ მიზეზის გამო, რომ სასტარტო კაპიტალზე წვდომა გართულებულია, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, საბანკო სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მნიშვნელოვანი სექტორი, ამ სექტორის წარმომადგენლები არიან წარმოდგენილები მსოფლიოს წამყვან საფონდო ბირჟებზე და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სხვა სექტორებშიც იყოს სწრაფი ზრდა.

– დღეს ჩვენ გვაქვს ის მოცემულობა, რომ პროექტები, იდეები ხშირ შემთხვევაში ვერ ხორციელდება იმ მიზეზის გამო, რომ წვდომა სასტარტო კაპიტალზე არის გართულებული. აქედან გამომდინარე, ჩვენი სასტარტო კაპიტალის რეფორმის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობდეს არანაირი წინაღობა იმისთვის, რომ კონკურენტუნარიანი პროექტები და იდეები განხორციელდეს ჩვენს ეკონომიკაში. შესაბამისად, ჩვენ საბანკო სექტორთან ერთად, შევიმუშავებთ ისეთი თამაშის წესებს, ისეთ ფინანსურ მექანიზმებს, რომელიც ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტად საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის და სტარტაპ ბიზნესის განვითარებას. მინდა ხაზი გავუსვა ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ ამოცანას – ეს არის სიღარიბის დამარცხება. სიღარიბის დამარცხება გადის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებაზე და მათ წახალისებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით საქართველოში სიღარიბეს აუცილებლად დავამარცხებთ, – განაცხადა ბახტაძემ.

„მსოფლიო უნდა შეეგუოს, რომ ასადმა გაიმარჯვა“

ახლანდელი პოლიტიკური მანევრები მსოფლიო ომის შესავალია?

მარიამ მჭედლიშვილი



მსოფლიო დასავლური ალიანსის მიერ სირიაში განხორციელებული ავიადარტყმების შედეგებზე მსჯელობს.

დანიელი ექსპერტებისთვის მორალური თვალსაზრისით ამ სადამსჯელო აქციის ამოცანა გამართლებულია – ბაშარ ასადი დაისაჯა იმისათვის, რომ იყენებს ქიმიურ იარაღს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ.

მათი აზრით, ამ აქციას ვერ ექნება პედაგოგიური მნიშვნელობა. ასადი რეციდივისტია და, თუ საჭიროდ მიიჩნევს, კვლავ გამოიყენებს მომწამვლელ ნივთიერებებს მოსახლეობასთან საბრძოლველად. ამით არც სხვა დესპოტები დაშინდებიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსეთი მათ გაეროს უშიშროების საბჭოში ესარჩლება.

აქციას არ გააჩნია არანაირი სამხედრო დანიშნულება. რუსეთისა და ირანის წყალობით სირიის რეჟიმმა წარმატებას მიაღწია. მსოფლიო უნდა შეეგუოს იმას, რომ ასადმა სამოქალაქო ომში გაიმარჯვა. მისი სამხედრო ძალების დასუსტებას კრემლი არ დაუშვებს. თუ რუსეთი სირიას ზურგს შეაქცევს, მაშინ უფრო აქტიურად ჩაერევა ირანი. მოსკოვსა და თეირანს შორის მეტოქეობაა დამასკოზე გავლენის მოსაპოვებლად ომის დამთავრების შემდეგ.

ახლო აღმოსავლეთის გამო ერთმანეთს უპირისპირდებიან აშშ და რუსეთი. ამერიკა სამხედრო სფეროში რუსეთზე ძლიერია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ პრობლემა დიპლომატიური გზით გადაწყდეს. დიპლომატიაში კი პუტინი ტრამპზე გაწაფულია.

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერიში მიმდინარე მოვლენებში მსხვილმასშტაბიანი ცივი ომის ნიშნებს ხედავს და აღნიშნავს, რომ არსებობს სიტუაციის კონტროლიდან გამოსვლის რისკი.

სირიაში ბაშარ ასადის სასარგებლოდ მოვლენების განვითარებას აფიქსირებს „როიტერი“. ავტორების აზრით, არც რუსეთსა და არც აშშ-ს არ სურთ სირიაში ერთმანეთთან შეჯახება. ისინი იმითაც კი არ არიან დაინტერესებული, რომ ერთმანეთს აჩვენონ უახლესი რაკეტები და საჰაერო დაცვის სისტემები. აშშ-ს შეუძლია, სირიის საზღვრებთან მიიყვანოს დიდი გემები და ავიამზიდი, დახარჯოს იქ ბევრი ძველი რაკეტა, მაგრამ ეს არ იქნება ძალის დემონსტრირება. ეს უფრო იქნება ძალის დემონსტრირების შეუძლებლობის დემონსტრირება.

სხვა ექსპერტები ამ მოვლენებში მომავალი მსხვილი ომის სიმპტომებს ამჩნევენ. მათი თქმით, შეიმჩნევა პოლიტიკური მანევრები. მრავალმხრივი პოლიტიკური მანევრირება, ანუ მხარეების მიერ შთაბეჭდილების შექმნა, რომ ისინი ცდილობენ დიდი კონფლიქტის თავიდან აცილებას, დამახასიათებელი იყო უკანასკნელი ასწლეულის ყველა მსხვილი შეტაკებისათვის. ამ მეთოდს ჰიტლერიც მიმართავდა მსოფლიო ომის გაჩაღებამდე.

ახლანდელი პოლიტიკური მანევრები ჰგავს მსოფლიო ომის შესავალს. გამოიკვეთა კონფლიქტის ერთი მხარე – დასავლური კოალიცია, რომელიც აქამდე ანტიტერორისტულ ელფერს ატარებდა. მეორე მხარეს, ავტორების სიტყვებით, არიან რუსეთი და ჩინეთი. ბოლო დროს მოსკოვსა და პეკინს შორის გაღრმავდა სამხედრო თანამშრომლობა.

დაპირისპირებულ ბანაკებს შორის სადავო ადგილად და ბრძოლის ველად მხოლოდ სირიის გამოცხადება ექსპერტებს არასწორად მიაჩნიათ. მათი აზრით, დაპირისპირება მოიცავს აგრეთვე შავი ზღვის მთელ რეგიონსა და აღმოსავლეთ ევროპას.

ოთარ ანგურიძე: „ბანკები დამწყებ ბიზნესზე კრედიტს საერთოდ არ გასცემენ“

„არსებული საბანკო სისტემა უნდა შეიცვალოს“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის განცხადებების ანალიზს აკეთებს.

– ბატონო ოთარ, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბანკო სისტემა არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს. როგორ ფიქრობთ, ფინანსთა ახალი მინისტრის განცხადება შესაძლებელია ერთგვარი წინაპირობა იყოს ბანკების მონოპოლიური მდგომარეობის შეზღუდვისა?

– თვითონ ის ფაქტი, რომ მთავრობის წევრმა გააკეთა ეს განცხადება, უკვე პოზიტიური და იმედისმომცემია, თუმცა, რამდენად შეიზღუდება ან განვითარდება ეს პროცესები ისე, როგორც ფინანსთა მინისტრმა თავის განცხადებაში თქვა, ამას უახლოესი დღეები გვიჩვენებს. ერთი, რაც ნამდვილად უნდა ითქვას, არის ის, რომ ჩვენ გვაქვს მიღებული კანონები, რომლებიც არ მუშაობს. ვგულისხმობ იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც ეროვნული ბანკი პერიოდულად აქვეყნებს და არა მხოლოდ ეროვნული ბანკი, არამედ საკანონმდებლო ორგანოც. აღსრულების ნაწილი, ვალდებულებების შეუსრულებლობის თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ, რომ არც მუშაობს. მხედველობაში მაქვს ის ნაწილი, როდესაც ბანკებს კანონით აქვთ შეზღუდული სხვა, არაპროფილური ბიზნესის ფლობა და ა.შ. თუმცა, დარღვევებზე იმდენად მიზერული ჯარიმებია, რომ ბანკების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ნორმებს უგულებელყოფს.

– ფინანსთა მინისტრმა ასევე თქვა, რომ ის საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც დღეს ჩვენ გვაქვს ბანკების მიერ დაწესებული, ფაქტობრივად, ბიზნესის დაწყების შანსს არ იძლევა. ვინ უნდა არეგულირებდეს ამ საპროცენტო განაკვეთებს, ეროვნული ბანკი?

– არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთებია ჩვენთან ბიზნესის განვითარების მუხრუჭი, მით უფრო დაწყების, არამედ არსებული სასესხო პოლიტიკაც. დღეის მდგომარეობით, პრაქტიკულად, ბანკები სასტარტო ბიზნესს არ აფინანსებენ.

– რატომ?

– მათი არგუმენტებით, თითქოს ძალიან დიდი რისკფაქტორები ახლავს დამწყებ ბიზნესს. დიახ, რისკფაქტორები არსებობს, როდესაც ბიზნესი დამწყებია. თუმცა, აბსოლუტურად ყველა ქვეყანაში კომერციულ ბანკებს სპეციალური პროგრამები აქვთ, რომ ბიზნესს ჰქონდეს საშუალება, წახალისდეს, შექმნას კაპიტალი, დოვლათი და შემდეგ იყოს კარგი გადამხდელი როგორც საპროცენტო, ისე საბიუჯეტო განაკვეთების. დღეს ჩვენ გვაქვს პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ბიზნესი, პრაქტიკულად, არ უნდა დაიწყო.

– ბანკები კრედიტებს არ გასცემენ?

– საერთოდ არ გასცემენ დამწყებ ბიზნესზე კრედიტს, თავი რომ დავანებოთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ძალიან მაღალია. ამიტომ მთავრობას, პარლამენტსა და ეროვნულ ბანკს ძალიან დიდი მუშაობა მართებთ იმასთან დაკავშირებით, რომ არსებული საბანკო სისტემა ქვეყანაში შეიცვალოს და საფინანსო ინსტიტუცია საქართველოში მხოლოდ ორ ბანკზე არ იყოს აწყობილი.

– ერთ-ერთმა მსხვილმა ბანკირმა, ხაზარაძემ, თქვა, რომ მთელ მსოფლიოში გამორჩეულია ქართული საბანკო სისტემა, ქართული ეკონომიკა მხოლოდ საბანკო სისტემაზე დგას. რა კომენტარს გააკეთებთ?

– დღეს თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენი საბანკო სისტემა მოწინავეა მთელ მსოფლიოში, მაშინ უფრო მეტი კონკრეტიკა და განმარტებაა საჭირო.

რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, რომ გამოსწორდეს არსებული ვითარება, რაც შეიძლება მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადაიდგას საკანონმდებლო ორგანოსა და ეროვნული ბანკის მხრიდანაც. სამუშაო მართლაც ძალიან დიდია. ის, რომ საბანკო სისტემაზე დგას ეკონომიკა, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ – ცუდი. კარგია, რომ ქვეყანაში არის წარმატებული საბანკო სისტემა, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა საბანკო სისტემაზე კი არა, წარმოებაზე უნდა იდგეს. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გადავდგათ ნაბიჯები. ეკონომიკის მონოპოლიზებას საბანკო სექტორი ახდენს, რათა სხვა ბანკები არ განვითარდეს, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ იყვნენ მონოპოლისტები მთლიან პრობლემაში.

– დღეს არსებული საბანკო სისტემა ხელოვნურია. ეს მონოპოლიები რამდენიმე ბანკს ხელოვნურად აქვს შექმნილი?

– გარკვეულწილად, არის ხელოვნურიც და, იმავდროულად, ბუნებრივიც. ხელოვნურია, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნულ ბანკს რაც აქვს წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემა, ეს იძლეოდა იმის საფუძველს, რომ რამდენიმე ბანკს ესარგებლა ამ პირობებით და თავისი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მოეხდინა. ბუნებრივია ის გარემოება, რომ სხვა ბაკებმა ვერ აუწყვეს ამ ორი ბანკის ტემპს ფეხი.

– შეიძლება თქვათ, რომელ ორ ბანკზეა საუბარი?

– რასაკვირველია, ეს არის „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“. მთლიანი საბანკო აქტივების 80%-ზე მეტი ამ ორ ბანკზე მოდის. შესაბამისად, მთელი საბანკო ძალაუფლებაც მოდის ამ ორ ბანკზე და არ სხვა ბანკებზე, რომლებიც შედარებით დაბალ მაჩვენებლებს ფლობენ ამ აქტივებში.

ამიტომ ვამბობ, რომ სწრაფად არის შესაცვლელი საბანკო სექტორში არსებული ვითარება. საბანკო სექტორი ქვეყანაში მოწინავე ეკონომიკის დარგი კი არა, ეკონომიკის მასტიმულირებელი უნდა იყოს.

– მუხრუჭი, რომელზეც საუბრობდა ბახტაძე, რით გამოიხატება?

– ერთი, არსებული პოლიტიკა ისეა აწყობილი, რომ ბანკებმა დააფინანსონ მხოლოდ სამომხმარებლო და არა საწარმოო სესხები. საწარმოო სესხები ძალიან მცირეა. მეორე, არის გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები. როდესაც ორი ბანკის მონოპოლიურ მდგომარეობაზე ვსაუბრობთ, კითხვის ნიშნები ჩნდება მათთან დაკავშირებით: ხომ არ არის ხელოვნურად მაღალი საპროცენტო განაკვეთები?! მესამე ფაქტორია ეროვნული ვალუტა, რომელიც 6 წელია ძალიან მერყეობს და არ არის სტაბილური, რაშიც ძალიან დიდი წვლილი საბანკო სექტორს მიუძღვის. ამიტომ, ჩნდება ეჭვი, როდესაც მონოპოლიურ მდგომარეობაზეა საუბარი, ბანკები ხომ არ ახდენდნენ ვალუტით ხელოვნურად სპეკულირებას ბაზარზე, რომლითაც არა მხოლოდ მოსახლეობა, ბიზნესსუბიექტებიც ზარალდებიან. მთავრობა ძალიან მომთხოვნი უნდა იყოს.

– ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ბანკებს ლობისტები მთავრობაში ჰყავთ. თუ ასეა, სისტემის გაჯანსაღება რამდენად რეალურია?

– ის, რომ ფინანსთა მინისტრმა, თან ახალმა დანიშნულმა, გააკეთა ეს განცხადება, მეტყველებს, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რაც მისასალმებელია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ეს უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

რა საშუალებები აქვს ლონდონს „გარდამავალი პერიოდის“ დასრულების შემდეგ ერთიანი ბაზრიდან გასვლისა?

ბრექსიტის მოწინააღმდეგე ანალიტიკოსები თვლიან, რომ დიდმა ბრიტანეთმა უნდა მოახდინოს „კატასტროფის“ შედეგების შემსუბუქება და ამისთვის თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციაში (EFTA) შევიდეს, სადაც იგი შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიას და ლიხტენშტეინს შეუერთდება. EFTA უზრუნველყოფს თავისუფალ ვაჭრობას 38 სახელმწიფოსთან და სავაჭრო ალიანსებს მსოფლიოს მრავალ რეგიონთან. EFTA-ს წევრებისთვისაც სასურველია ბრიტანეთის შეერთება, რაც ასოციაციის ეკონომიკურ-პოლიტიკურ წონას გაზრდის და მას მსოფლიოში ვაჭრობის ზომის მხრივ მეოთხე მოთამაშედ აქცევს. მიუხედავად ამისა, ეს ბრიტანეთისთვის ეს ყველაზე მისაღები ნაბიჯი არ არის. რაში სჭირდება „დიდი შვიდეულის“ წევრს, მშპ-ს ზომით მსოფლიოში მეცხრე ეკონომიკას საკუთარი თავის ნაკლებად მნიშვნელოვან ორგანიზაციაში შეყვანა და საკუთარი ძალის ინვესტირება უცხო და ამასთან არაამბიციურ პროექტში?

მეორე მხრივ, მარტოსულის, არცერთ რეგიონულ სავაჭრო ბლოკთან არაფილირებული „გლობალური მოთამაშის“ როლიც არასახარბიელოა. მაშინ ერთადერთ საყრდენად რჩება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მკაცრი წესები და ევროკავშირთან ვაჭრობა ლიბერალური რეჟიმიდან სატარიფო ზეწოლის რეჟიმზე გადავა. პრინციპში, ტარიფი არ წარმოადგენს ამკრძალავ ნორმას და მისი გადახდა შეიძლება, მაგრამ ამასთან საჭიროა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა, რაც არასერტიფიცირებულ პროდუქციას გასაღების ბაზრებს აშორებს. ეს არ ნიშნავს, რომ ევროპაში მოხვედრილი ყველა საქონელი სატესტო კონვეიერების ქვეშ გადის. არსებობს სუფთა პოლიტიკური შეთანხმება სახელმწიფოებს შორის ტექნიკური სტანდარტების აღიარების შესახებ. შესაბამისად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა ევროკავშირთან უპრობლემო ვაჭრობისთვის საკმარისი არ არის.

მესამე ვარიანტს შეგვიძლია „თურქული“ ვუწოდოთ. თურქეთი არის საბაჟო კავშირში ევროკავშირთან. იგი მოიცავს ვაჭრობას სამრეწველო საქონლით, თუმცა არ ვრცელდება სოფლის მეურნეობის პროდუქციასა და მომსახურების სფეროზე. ურთიერთობა ამ კავშირში ასიმეტრიულია. თუ ევროკავშირი მესამე ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას გააფორმებს, თურქეთი იძულებული იქნება ამ სახელმწიფოს საკუთარ ბაზარზე თავისუფალი წვდომა მისცეს, მაშინ როდესაც თურქი ექსპორტიორები იგივე უპირატესობით ვერ ისარგებლებენ. ამასთან, თურქეთს არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ბრიუსელის სავაჭრო პოლიტიკაზე. ცხადია, რომ ასეთი შეზღუდული თანამშრომლობის ფორმატი მისაღებია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროინტეგრაციისთვის ემზადებიან და საკუთარი ეკონომიკის შესაბამისი სახით ტრანსფორმაციას ცდილობენ. დიდი ბრიტანეთისთვის ეს ვარიანტი ნაკლებად მისაღები უნდა იყოს.

როგორც ჩანს, დიდი ბრიტანეთს მოუწევს საყოველთაო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების – უტარიფო, არსებული კვოტირების სისტემით და პროდუქციის ხარისხის ურთიერთაღიარებული სტანდარტებით დაცულის გაფორმება. ეს იქნება წმინდად ეკონომიკური შეთანხმება, რადგან შრომითი მიგრაციის პოლიტიზებული საკითხი, სავარაუდოდ, მისი კომპონენტი არ იქნება.

ბრექსიტის სავაჭრო შედეგების ყველა დეტალის შესწავლა კიდევ დიდი ხანი გაგრძელდება. საერთო სურათი ჯერაც არ არის ცხადი. თუმცა შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბრიტანეთი, რომელმაც საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში თავისი გზა მოსინჯა, უახლოეს პერსპექტივაში ვაჭრობის საერთოევროპულ სისტემაში მონაწილეობიდან არ გაიქცევა და მით უმეტეს არ ეცდება სავაჭრო ომების გაჩაღებას.

მთაწმინდის საბაგიროს აღსადგენად ადგილობრივ მოსახლეობას სახლების დატოვება მოუწევს

თბილისში მთაწმინდის საბაგირო გზის აღდგენითი სამუშაოების დასაწყებად საბაგიროს ქვედა სადგურის, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიიდან ადგილობრივი მცხოვრებლების გაყვანაა აუცილებელი.

როგორც „სითი კვირას“ მთაწმინდის საბაგიროს ჯგუფის უფროსმა, ლაშა დალაქიშვილმა განუცხადა, მოსახლეობა საკუთარი საცხოვრებელი ადგილების დროებით დატოვებას და სამუშაოების დასრულების შემდეგ დაბრუნებას ვერ შეძლებს, რადგან სამშენებლო მოედანი სწორედ მათი სახლების ადგილას უნდა მოეწყოს. შესაბამისად, სპეციალური ნებართვის გარდა, სამუშაოების დასაწყებად, ადგილობრივების თანხმობაც საჭიროა, რის შემდეგაც ისინი, გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ, საკუთარ საცხოვრებელ სახლებს დატოვებენ.

დალაქიშვილის განმარტებით, სახლების გამოსყიდვის შემდეგ, სამშენებლო მოედნის გაფართოების მიზნით, მათი დემონტაჟი განხორციელდება.

– იმ შემთხვევაში, თუ მცხოვრებლები ადგილზე დარჩებიან, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით, სამუშაოები ვერ დაიწყება. მშენებლობის პროცესში იქ არავინ უნდა იყოს. ჩვენი ინფორმაციით, მოსახლეობა თანახმაა, თუმცა ჯერჯერობით მათი უძრავი ქონების შეფასება მიმდინარეობს.

ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ჩვენი დიალოგი უფრო კონსტრუქციული იქნება, – აცხადებს მთაწმინდის საბაგიროს ჯგუფის უფროსი.

ლაშა დალაქიშვილის თქმით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთაწმინდა მთლიანად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მასზე ნებისმიერი სამუშაოს ჩატარება თანხმობას საჭიროებს. მას შემდეგ, რაც მოსახლეობის გაყვანისა და ნებართვის საკითხები დაზუსტდება, სამუშაოები დაიწყება.

როგორც მთაწმინდის საბაგიროს ჯგუფის უფროსმა განმარტა, ჯერჯერობით, დაუზუსტებელია პროექტის ბიუჯეტი, რადგან კომპანია „დოპელმაიერისგან“, რომელსაც საბაგირო გზის მოწყობა დაუკვეთეს, საბოლოო ინვოისი ჯერ არ მიუღიათ.

დალაქიშვილის თქმით, სამხარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საბაგირო გზის სამშენებლო ნაწილი, დაახლოებით, 4.2 მილიონ ლარს საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ საბაგირო გზის თავდაპირველი მარშრუტი სასტუმრო „რედისონის“ მიმდებარე ტერიტორიიდან მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზა იყო, თუმცა შემდეგ არქიტექტორთა საბჭოს რეკომენდაციით, მისი ქვედა სადგურის ლოკაციად სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე საბაგირო გზის ძველი სადგურის შენობიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით მიმავალი საბაგირო გზა განისაზღვრა.

სამუშაოების შედეგად ?თბილისში აღნიშნული მიმართულებით დაახლოებით 980 მ-ის სიგრძის საბაგირო გზა გაკეთდება, რომელიც რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის პარკამდე მანძილს 4 წუთში დაფარავს.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ინფორმაციით, პროექტი 8 MGD ტიპის (მონოგონდოლა) საბაგიროს მონტაჟს ითვალისწინებს. საბაგიროს გამტარუნარიანობა გათვლილია საათში 1100 კაცზე. გზას მოემსახურება 20 გონდოლა, საშუალოდ, 6 ადამიანზე გათვლილი. რაც შეეხება გრიბოედოვის ქუჩაზე განთავსებულ ბეტონის კონსტრუქციას, დალაქიშვილის თქმით, ის 2017 წლის დეკემბერში აიღეს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო მიწის შეძენის რეგულაციები ცნობილია

უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო მიწის შეძენის რეგულაციები ცნობილია.

კანონპროექტის ავტორი, პარლამენტის აგრარულ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი, ოთარ დანელია, იმ კრიტერიუმებს ასახელებს, რა შემთხვევაში მოხდება უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა და აღნიშნავს, რომ პროცედურების შემოღების მიუხედავად, მიწის იჯარით გაცემა არ შეიზღუდება.

დანელიას თქმით, „სასოფლო მიწის შესახებ ორგანული კანონით“ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი საქართველოში სასოფლო მიწას ვერ შეიძენს, შეუძლია მხოლოდ იჯარით აიღოს.

თუ უცხოელებს მაინც სურთ საქართველოში სასოფლო მიწის შეძენა, მან უნდა დააფუძნოს საქართველოში კომპანია, სადაც მისი ან სხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეების წილობრივი მონაწილეობა 49%-ს არ აღემატება. ქართველი პარტნიორის (ან პარტნიორების) წილი 51% ან მეტი უნდა უყოს.

დიდ პროექტების შემთხვევაში როგორიც არის მაგალითად ჰესი, ან პორტი, სადაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია იდება და კონსორციუმში უდიდესი წილი აქვს უცხოელ ინვესტორებს, მთავრობას ექნება მიწის მიყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა.

ტვ პირველის ეთერში (ანალიტიკა) დანელიამ აღნიშნა, რომ მიწის გასხვისების დროს აუცილებელია სწორი კომუნიკაცია მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან და გათვალისწინებული იყოს თემის, სოფლის თუ რაიონის ინტერესები, როდესაც კომპანია, სადაც ინვესტორები ფლობენ 49%-ს, მიწის შეძენას მოახდენენ. „გვინდა, სრული სპექტრი იყოს დაცული“, – ამბობს დანელია.

კანონმდებელი ამბობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) კრიტიკულ მასას არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში, უფრო მეტიც, ადგილობრივი ინვესტიციები ბევრად აღემატება FDI-ს.

ექს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ისიც აღნიშნა, ახალი კანონით ნებისმიერი ნასყიდობა ითვალისწინებს ვალდებულებას.

– თუ მე, საქართველოს მოქალაქე, კანონის მიღების შემდეგ ვიყიდი მიწას, მე მექნება ინვესტიციის ვალდებულება. ჩვენ რეტროაქტიულად არ ვეხებით მათ, ვისაც აქამდე ჰქონდა შეძენილი მიწა, მაგრამ ყველას მოვთხოვთ მიზნობრივ დამუშავებას, – განაცხადა დანელიამ.

8 წლის ასაკში გაკეთებული ქვევრი და შენარჩუნებული ტრადიცია – ქვევრის თანამედროვე ოსტატები

კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში, მამა-შვილი, ზაზა და რემი კბილაშვილები, მეთუნეობით, ანუ თიხის დამუშავების წინაპრებისგან მიღებული ცოდნითა და გამოყენებით არიან ცნობილი. კბილაშვილების მიერ გაკეთებულ ქვევრებს დღეს ბევრ დიდ თუ მცირე მარანში შეხვდებით. სწორედ ამ ადამიანების სახელს უკავშირდება კახეთში მექვევრეობის უძველესი ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა და გაგრძელება.

მექვევრე ზაზა კბილაშვილი ALLWI#E.-GE-სთან საუბარში ამბობს, რომ მექვევრეობა ურთულესი საქმეა და ამ ხელობას ადამიანი მარტივად ვერ ისწავლის. მისი აზრით, ღვინის ხარისხი ქვევრისა და ყურძნის ხარისხის ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

ზაზა კბილაშვილი, მეთუნე:

– ჩვენ ეს ხელობა თაობიდან თაობაზე გადმოგვეცემა. მე უკვე მეოთხე თაობა ვარ, ვინც ამ ტრადიციებს ვატარებ. 8 წლის ვიყავი პირველად პატარა ქვევრი რომ გავაკეთე. ასაკის მატებასთან ერთად, მით უფრო ვზრდიდი ქვევრებს. მყავს ორი ბიჭია და უკვე იციან ეს ხელობა.

– ბოლო წლებში გაიზარდა თუ არა ქვევრებზე მოთხოვნა და აქვე გვითხარით, ძირითადად ვინ არის მისი მყიდველი?

– რა თქმა უნდა, ჩვენს ქვევრებზე მოთხოვნა გაიზარდა. ეს, პირველ რიგში, ქართული ნატურალური ღვინით დაინტერესების პარალელურად ხდება და ქვევრის ღვინის ხარისხი უკვე ბევრმა ადამიანმა გაიგო.

– დაახლოებით რამდენ და რა მოცულობის ქვევრებს აწარმოებთ?

– ქვევრში ღვინო ჩვენს წინ იბადება და მე ვგრძნობ, რომ ქვევრში რაღაც ზებუნებრივი ძალაა. სულ დიდი ქვევრი, რომელიც გამიკეთებია, ორტონიანი იყო. თვითონ ქვევრი აღვილი გასაკეთებელი არაა, ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. ქვევრის ოსტატი უცბად ვერ გახდება ადამიანი. ძველად, ქვევრის გაკეთების სწავლა თუ ვინმეს უნდოდა, ოსტატი მას ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ თიხასთან ამუშავებდა, თიხას აჩვევდა. ასწავლიდა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქვევრის დასამზადებელი თიხა. ხოლო ხუთი წლის შემდეგ, ოსტატი უკვე ქვევრთან ახლოს უშვებდა და უშუალოდ ქვევრის ამოყვანასაც ასწავლიდა. თუკი მოსწავლე შეძლებდა, ისწავლიდა, თუ არადა, უშვებდა.

– რას ურჩევთ დამწყებ მეთუნეებსა და მექვევრეებს?

– დამწყებ მექვევრეებს ვურჩევ, რომ ჯერ თიხა კარგად შეისწავლონ და მერე აკეთონ ქვევრები. ეს ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა.

– დაბოლოს, გვითხარით თქვენ თუ აყენებთ ღვინოს თქვენ მიერ დამზადებულ ქვევრებში?

– ჩვენი ოჯახი ქვევრში ღვინოს ოდითგანვე აყენებდა. მეც ვაყენებ ღვინოს ქვევრში და ვფიქრობ, ეს არცთუ ცუდად გამომდის. შარშან საზოგადოებას ჩემი ღვინო წარვუდგინე და მიხარია, რომ მან დიდი მოწონება დაიმსახურა. მივიღე გადაწყვეტილება და სულ მალე დავიწყებ ჩამოსხმასა და რეალიზაციას. ვენახი – ღვინო – ქვევრი – ეს ხომ ერთი დიდი ჯაჭვია.

მაია ცქიტიშვილი: „სამინისტროსა და პარლამენტს აქტიური თანამშრომლობა გვექნება“

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მაია ცქიტიშვილი, პარლამენტში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნიას შეხვდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პირველ ოფიციალურ სამუშაო შეხვედრას მინისტრის მოადგილეები – ირაკლი ქარსელაძე, ილია ბეგიაშვილი და პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ესწრებოდნენ. სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებზე და ამ სფეროში მიმდინარე რეფორმებზე.

– საკმაოდ დეტალურად გავიარეთ სამომავლო გეგმები და სამუშაო პროცესი. პირველ რიგში შევთანხმდით იმაზე, რომ ჩვენი მუშაობა ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, სამინისტროს და პარლამენტს ძალიან აქტიური თანამშრომლობა გვექნება, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

– ქალბატონი მინისტრისგან მოვისმინე კომპეტენტური და შინაარსიანი მსჯელობა და დამოკიდებულება ძირითადი საკითხების ირგვლივ, მით უმეტეს, დეცენტრალიზაციის რეფორმის სახით წინ გვაქვს უმნიშვნელოვანესი სამუშაო და ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ ზაზა გაბუნიამ.

მხარეებმა შეხვედრა დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ დეტალურად ისაუბრეს კომიტეტისა და სამინისტროს იმ გეგმებზე, რომელთა განხორციელებასაც ერთობლივად აპირებენ.

ბრიტანეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივები

დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის სამომავლო სავაჭრო ურთიერთობა ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტია, რომელიც ბრექსიტის შემდეგ წარმოიქმნა. ბრიტანელთა მთავარმა მომლაპარაკებელმა დევიდ დევისმა მრავალჯერ განაცხადა, რომ მის ქვეყანას თანამშრომლობის განსაკუთრებული პირობები სურს – შეთანხმება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ბრიტანეთის საჭიროებებს იქნება მორგებული. ევროკავშირის წარმომადგენლები ამ სურვილს ენთუზიაზმის გარეშე შეხვდნენ. მათ ინტერესს წარმოადგენს ბრიტანეთის მეტი დანახარჯებით დატვირთვა და განცალკევებული არსებობის გართულება, რათა ბრექსიტი ევროკავშირის სხვა წევრებისთვის შიდაპოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად სამაგალითოდ არ იქცეს. ამასთან ცხადია, რომ ევროკავშირს არ სურს კონფრონტაცია. ბრიუსელისთვის წარმატებული შედეგი იქნება შეთანხმება,

რომლის თანახმადაც ბრიტანეთი ამა თუ იმ ფორმით აღიარებს ვაჭრობის სფეროში ევროპელი რეგულატორების ძალაუფლებას. ჯერჯერობით არ ჩანს, აქვთ თუ არა ბრიტანელებს სხვა გამოსავლის შესაძლებლობა.

ბრექსიტის მომხრეების შეხედულებით, მათი ქვეყანა არ უნდა მონაწილეობდეს საერთოევროპული ბაზრის სისტემაში, რადგან იგი არა მხოლოდ საქონლის, მომსახურების და კაპიტალის, არამედ ადამიანების თავისუფალ გადაადგილებასაც გულისხმობს. სწორედ კავშირის შიგნით შრომითი მიგრანტების გადაადგილების თავისუფლება იქცა ამომრჩეველთა მთავარ გამაღიზიანებლად 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის წინ. აქტივისტები, რომლებიც საზღვრების დაკეტვის მოთხოვნით გამოდიოდნენ, „მკაცრი“ ბრექსიტის მხარდამჭერებს წარმოადგენენ. ისინი ევროკავშირთან ურთიერთობების ისეთ განვითარებას ემხრობიან, რომელიც გამორიცხავს ქვეყნის მონაწილეობას საერთოევროპულ სტრუქტურებში.

ხალხის ნების პატივისცემა, რომელმაც რეფერენდუმზე კონტინენტურ ევროპასთან პოლიტიკური ალიანსის გაწყვეტას დაუჭირა მხარი, იდეაში დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან სავაჭრო ხელშეკრულებების დადებაზე უარის თქმას მოითხოვს, რაც სახელმწიფო სუვერენიტეტს ზღუდავს. მართლაც, თავიდან ტერეზა მეი იზოლაციონისტურ და ბრიუსელთან მკაცრი განშორების კურსს ირჩევდა. თუმცა ამ პოზიციის სიმყარემ ელექტორატი დააშინა: 2017 წლის 8 ივნისის საპარლამენტო არჩევნებზე კონსერვატიულმა პარტიამ წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა დაკარგა და ძალაუფლება მხოლოდ ჩრდილოეთ ირლანდიური დემოკრატიული უნიონისტური პარტიის წყალობით შეინარჩუნა. არჩევნების შედეგები საზოგადოებრივი აზრის უფრო კომპრომისული ბრექსიტისკენ გადახრაზე მიუთითებს.

თუმცა პოლიტიკურ ვექტორზე კონსერვატორების რეიტინგის ვარდნაზე უფრო სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. საქმე იმაშია, რომ ევროკავშირს მიღმა ქვეყნის განვითარების პერსპექტივის ეკონომიკური მოდელირება ოპტიმისტურ სცენარს არ იძლევა. მყისიერი „განშორების“ ნებისმიერი გეგმა გულისხმობს ცხოვრების დონის დაცემის და ევროპულ კონტრაგენტებთან სავაჭრო სისტემის დანგრევიდან გამოწვეული დიდი ფინანსური დანაკარგების საფრთხეს. კონსერვატორებმა ეს გაითვალისწინეს, ამიტომაც ლონდონმა ევრობიუროკრატებთან მოლაპარაკების კურსი შეცვალა: 2017 წლის 22 სექტემბერს ტერეზა მეი გამოვიდა სიტყვით, რომლის თანახმადაც დიდი ბრიტანეთი ეცდება ბრექსიტის შემდეგ მინიმუმ ორი წლით ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი ყოფნის გახანგრძლივებას. ცხადია, რეფერენდუმის შედეგების გადახედვაზე საუბარი არ არის. „რბილი“ ბრექსიტი, ევროკავშირთან უწყვეტი კავშირის შენარჩუნება განუსაზღვრელი ვადით, პოლიტიკურად შესაძლებელია. თუმცა, სავარაუდოდ, ბრიტანეთის ხელისუფლებას გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს (მაგალითად, მსხვილი ფინანსური დავალიანების გადახდა ევროკავშირის ბიუჯეტში) ევროპელებისგან „გარდამავალ პერიოდზე“ თანხმობის მისაღებად, რომლის დროსაც ქვეყანა ერთიან ბაზარს და ევროპის საბაჟო კავშირს არ დატოვებს. ინერციული სტაბილურობის ეს რამდენიმე წელი ევროპული სტრუქტურებიდან საბოლოო გამოსვლის მექანიზმის მოსაფიქრებლადაა საჭირო.

„სახლში წინასწარ იყო შესული... ბავშვების ტანსაცმელს ჭრიდა და ბენზინს ასხამდა“ — ბარნოვზე მომხდარი მკვლელობის დეტალები

13 აპრილს ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შესახებ ახალ დეტალებს ყვებიან მოკლული თამარ გამრეკელაშვილის ოჯახის ახლობლები. მათი ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული ვეფხია ბაქრაძე გოგოს სახლში ელოდებოდა. გარდაცვლილის ბებია და დეიდა ამბობენ, რომ ბავშვებს სახლში ვეფხია ბაქრაძე დახვდათ, რომელიც ბავშვების ტანსაცმელს ჭრიდა და ბენზინს ასხამდა.

– წინასწარ იყო შესული, რადგან ტანსაცმელი ფეხსაცმელი ბავშვების, დედის, დის ყველაფერი იყო დაკუწული... ბავშვმა როგორც თქვა, შევედითო, ხელში წამალი ეჭირა და ასხამდაო. სავარაუდოდ, ეს იყო ბენზინი, რადგან ბავშვებსაც ბენზინის სუნი ასდიოდათ... – ყვება გარდაცვლილის დეიდა.

25 წლის გოგოს მკვლელობაში ბრალდებული შს სამინისტრომ დააკავა.

უწყების ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ვ.ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 13 აპრილს ვ.ბ.-მ ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე, ყოფილი მეუღლის შვილს, 1993 წელს დაბადებულ თ.გ.-ს სხეულზე დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თ.გ. შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

ბარნოვზე გერის მკვლელობაში ბრალდებულს სახაზინო ადვოკატი დაიცავს

თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, ახალგაზრდა ქალის მკვლელობისთვის დაკავებულ ვეფხია ბაქრაძეს ბრალს, სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ. მის ინტერესებს სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

პროკურატურა სასამართლოს, სავარაუდოდ, ხვალ მიმართავს და სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების სახით ვეფხია ბაქრაძისთვის პატიმრობას მოითხოვს.

ეკა ბესელია: „ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედია ფართო ჭრილშია გასააზრებელი“

„ქართული ოცნების“ დეპუტატ ეკა ბესელიას შეფასებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული პირი პრეზიდენტის მიერ არის შეწყალებული.

როგორც ამ კონტექსტში ბესელიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე პროკურატურასა და საგამოძიებო სტრუქტურებს აქვთ მკაცრი პოლიტიკა და ასეთი ტიპის დანაშაულებთან დაკავშირებით ლოიალურ და ჰუმანურ მიდგომებს არ იყენებენ, რადგან ეს შემდგომი გამოვლინების კუთხით ძალიან სახიფათოა.

– მოხდა უმძიმესი ფაქტი, რომელმაც ყველა შეძრა. ეს ტრაგედია ფართო ჭრილშია გასააზრებელი. ბუნებრივია, გამოძიება თავისი გზით მიდის და ის ყველა გარემოებას გამოიკვლევს. ჩვენ, კანონმდებლებმა, საკანონმდებლო კუთხით ოთხ ეტაპად ძალიან დიდი ცვლილებები განვახორციელეთ, რათა პრევენციის თვალსაზრისით აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ბერკეტი მიგვეცა – დაწყებული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონით, დასრულებული „სისხლის სამართლის კოდექსით“, ასევე სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით. სს კოდექსს ახალი მუხლები დავამატეთ, გავამკაცრეთ სანქციები, მაქსიმალურად გავმართეთ მექანიზმი, რათა სამართალდამცავებს შემაკავებელი ორდერები და პრევენციული მექანიზმები ჰქონდეთ. კანონმდებლები ვიყავით და ვართ ღია. ამ კუთხით რისი საჭიროებებიც არის, ყველა გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს, – აღნიშნა ბესელიამ.

ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულის შეწყალების საქმეზე პრეზიდენტი განცხადებას გააკეთებს

ბარნოვის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული პირის, ვეფხია ბაქრაძის შეწყალების საქმეზე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს, 16 აპრილს, განცხადება გაკეთდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში განუცხადეს, განცხადებას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გააკეთებს.

ბარნოვის ქუჩაზე ახალგაზრდა ქალის მკვლელობაში ბრალდებული წარსულშიც იყო დაკავებული. მას პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე სასჯელი გაუნახევრდა და საპატიმრო 2017 წლის 25 მაისს დატოვა. აღნიშნულის შესახებ შსს-ში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი. როგორც შინაგან მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა, 25 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებული 2015 წელს დამნაშავედ იყო ცნობილი.

სენაკში ჩვილის ცხედარი იპოვეს

სენაკში ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ეზოში ახალშობილის ცხედარი იპოვეს. ბავშვის ცხედარი ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა დაინახა, რომელიც დილით სახლიდან გამოვიდა.

ადგილზე პოლიცია გამოიძახეს. გარდაცვლილი ბავშვი თვითმხილველებს შიშველი დახვდათ, საბანი კი, რომელშიც ჩვილი იყო გახვეული, შინაური ცხოველების მიერ იყო დაგლეჯილი.

საგამოძიებო მოქმედებები ამ დრომდე გრძელდება. შვიდი თვის ბავშვის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

მომხდარის სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

გამოძიება სს კოდექსის 112-ე მუხლით დაიწყო, რაც დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

თბილისის ცენტრში 35 წლის კაცის ცხედარი აღმოაჩინეს

პარასკევს, გვიან ღამით, დედაქალაქში, თამარაშვილის ქუჩისა და ვერის ხეობის სატრანსპორტო ესტაკადის კვეთაზე, 35 წლამდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის ბრიგადები.

გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 115-ე მუხლით, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავტოავარია ხობში — მძღოლმა გონება დაკარგა და ავტომობილი სანიაღვრე არხში ჩავარდა

თბილისი-ხობის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მამაკაცი, რომელიც მანქანას მართავდა, შეუძლოდ გახდა და ავტომობილზე კონტროლი დაკარგა. შედეგად BMW-ს მარკის მსუბუქი ავტომობილი .გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, გარე განათების ბოძს შეეჯახა და სანიაღვრე არხში ჩავარდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილიდან აცნობეს, მამაკაცის გარდა, ავტომობილში მისი ოჯახის წევრები, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც იმყოფებოდნენ. ისინი ზუგდიდისა და ხობის საავადმყოფოებში გადაიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, პაციენტების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძალვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი ორი პირი, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები: 1980 წელს დაბადებული გ.გ. და 1982 წელს დაბადებული ბ.მ., გამოძალვისა და ძალადობის ბრალდებით, ზესტაფონში დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, გასულ წელს დანაშაულებრივი დაჯგუფების კიდევ ერთ წევრთან, ამჟამად ქურდული სამყაროს წევრობისათვის ბრალდებულ, 1984 წელს დაბადებულ ნ.ქ.-სთან ერთად, ზესტაფონში ერთ-ერთი მოქალაქე ხელკეტით ცემეს. ისინი მოქალაქეს ქურდული გარჩევის გზით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, 15.000 აშშ დოლარის ოდენობის თანხას უკანონოდ სძალავდნენ.

სამართალდამცველებმა ნ.ქ. მიმდინარე წლის თებერვალში ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიება გამოძალვისა და ძალადობის ფაქტებზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 181-ე და 126-ე მუხლებით.

უკრაინიდან ქართველი „კანონიერი ქურდი“ ირაკლი ყალიჩავა, მეტსახელად „ხუტუ“, გააძევეს

უკრაინიდან ქართველი „კანონიერი ქურდი“ ირაკლი ყალიჩავა, მეტსახელად „ხუტუ“, გააძევეს.

ამის შესახებ უკრაინის უსაფრთხოების სამსახური იუწყება.

უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ ირაკლი ყალიჩავა პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედი გავლენიანი „კანონიერი ქურდების“ სიაში შედის.

უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, „ხუტუ“ უკრაინაში ჩავიდა ოდესის ოლქში კრიმინალური წრეების საქმიანობის კონტროლისა და უკანონო შემოსავლის განაწილების მიზნით. ის ოდესაში დააკავეს. ყალიჩავას სხვა პირის უკრაინული დოკუმენტები ჰქონდა.

ავარიას სვანეთში ერთი ადამიანი ემსხვერპლა

15 აპრილს, გამთენიისას, მულახი-მესტიის დამაკავშირებელ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც „ნიუპოსტს“ ადგილიდან აცნობეს, ავტომობილი, რომელშიც 2 ადამიანი იმყოფებოდა, ხიდიდან გადავარდა.

ადგილობრივების თქმით, ხიდი ერთი წლის წინ გაკეთდა, თუმცა მას შესაბამისი მოაჯირი არ აქვს გაკეთებული და ავტომობილის ხიდიდან გადავარდნაც სწორედ ამან გამოიწვია. მათი თქმით, ავტომობილში მსხდომი პირები, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებები მიიღო ავტომობილში მყოფმა მეორე პირმა. მას სამედიცინო დაწესებულებაში ოპერაცია გაუკეთდა და ამ დროისთვის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

აშშ-მ სირიას დაარტყა

როგორც მოსალოდნელი იყო, აშშ-მ სირიის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმა განახორციელა. მანამდე დონალდ ტრამპი ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, რომ ამერიკა იძულებულია, განახორციელოს დარტყმა იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც არათუ ადამიანის უფლებებს, არამედ ყოველგვარ ადამიანურ ნორმას ფეხქვეშ თელავს.

– ამერიკას, როგორც თავისუფალი სამყაროს ლიდერს, განსაკუთრებული მისია აკისრია. ამიტომ მოვალენი ვართ, მომხდარის გამო საპასუხო ზომები მივიღოთ, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსის, გენერალ დანფორდის ცნობით, სირიის მიმართულებით 120 ამერიკული რაკეტა გაფრინდა. სირიაში პანიკა დაიწყო. ბაშარ ასადმა რუსების ბაზას შეაფარა თავი, ოჯახი კი ირანში გახიზნა. სირიული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, რომელიც რუსებმა შექმნეს, ამერიკელების წინაშე აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა.

– არცერთი ამერიკული რაკეტა არ იქნა ჩამოგდებული, თუმცა სათანადო მცდელობები იყო, – თქვა დანფორდმა.

სირიაში ჩატარებულ ოპერაციას მაღალი შეფასება მისცა მეორე ცნობილმა ამერიკელმა, გენერალმა მაკენზიმ. პენტაგონში გამართულ მიტინგზე მან თქვა, რომ 120-ვე რაკეტამ მიზანს მიაღწია. განადგურებულია სირიის სამხედრო ბაზები, ქიმიური ქარხნები, სამხედრო-პოლიტიკური ცენტრები.

– სირიის ოპერაციას უმაღლეს შეფასებას ვაძლევ, – ამბობს მაკენზი.

სირიის თავდაცვის სამინისტრო, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ 13 რაკეტის ჩამოგდება შეძლო. მოსკოვში სირიელების მიერ მოყვანილი ციფრი ეცოტავათ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალმა რუდსკოიმ განაცხადა, რომ ვერცერთმა ამერიკულმა რაკეტამ სირიის სამხედრო ბაზებამდე ვერ მიაღწია.

– ჩამოგდებულია 71 ამერიკული რაკეტა, – უტიფრად აცხადებს რუსი გენერალი.

გაზეთ „კომერსანტის“ ცნობით, ამერიკელების სამიზნეს წარმოადგენდა 10 ობიექტი, მათ შორის სირიის რესპუბლიკური გვარდიის შტაბი, სირიის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბაზა (დამასკოს მახლობლად), აეროპორტი ალ-დუმეირი (აღმოსავლეთ გუტაში), ბარზაში (დამასკოს მახლობლად) განთავსებული სამხედრო- სამეცნიერო ცენტრი, ჯამაირიაში (დამასკოს მახლობლად) განთავსებული სამხედრო-სამეცნიერო ცენტრი, ჰომსში განლაგებული სამხედრო საწყობები და ა.შ.

ამერიკელებთან ერთად ოპერაციაში ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობდნენ. ტრამპმა თავის გამოსვლაში მათ მადლობა გადაუხადა.

– მე მსურს, ჩვენს მოკავშირეებს უღრმესი მადლობა გადავუხადო. მათი მოქმედება ძალიან ეფექტური იყო, – ამბობს ტრამპი.

როგორც ჩანს, მოსკოვი არ მოელოდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავის მუქარას შეასრულებდა. პირველი კომენტარებიც არა პრეზიდენტმა პუტინმა, პრემიერმა მედვედევმა ან საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა, არამედ რუსმა ჩინოვნიკებმა გააკეთეს. რუსეთის ფედერაციის ელჩმა აშშ-ში, ანტონოვმა, განაცხადა, რომ მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა აშშ-ს ეკისრება. ამას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ მარია ზახაროვას გამოსვლა მოჰყვა. ის აშკარად ისტერიულ ხასიათს ატარებდა. ქალბატონი დიპლომატი პირდაპირ ეთერში ჟარგონის გამოყენებასაც არ მოერიდა:

– ამერიკელები „ბესპრედელშჩიკები“ არიან!

პუტინის კომენტარები მოგვიანებით გაისმა. ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი აშკარად შეცბუნებული გამოიყურებოდა. მან ამერიკელების ქმედებას აგრესია უწოდა.

– განხორციელდა აგრესია სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება, გათელილია ყველა საერთაშორისო ნორმა, იგნორირებულია გაეროს წესდება, – თქვა პუტინმა.

მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელების წინააღმდეგ კონკრეტული საპასუხო ზომების განხორციელება ვერ გაბედა. მუქარა, ამერიკულ თვითმფრინავებს ჩამოვაგდებთ და ამერიკულ ხომალდებს ჩავძირავთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა. დონალდ ტრამპმა კი თავის სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ დარტყმა სირიაზე უფრო პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. ეს გახლდათ სიგნალი რუსეთისა და ირანისათვის, რომ ასადის მხარდაჭერა შეეწყვიტათ, სიგნალი ასადისთვის, რომ ამერიკა მის მხეცობებზე თვალის დახუჭვას არ აპირებს.

– თუ სირიის დიქტატორმა თავისი ქმედებები განაგრძო, არ გამოვრიცხავ, რომ სირიაზე დარტყმა კვლავაც განხორციელდეს! რუსული ბაზები ასადს ვერ დაიცავენ, – ამბობს ტრამპი.

სირიაზე დარტყმით აშშ-მ მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ რუსეთზე ბევრად ძლიერია. მეორე ცივი ომი ახალ ფაზაში შედის. რაც უფრო გაჯიუტდება პუტინი, მით უფრო მკაცრი იქნება კაპიტულაციის პირობები, რომლებსაც ამერიკელები რუსებს უკარნახებენ.

რუსეთი გაეროში აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდა

გაეროს უშიშროების საბჭო ამჯერად რუსეთის მოთხოვნით მოიწვიეს. რუსეთის წარმომადგენელი ნებეზნია ფრიად ემოციურად გამოვიდა. ამერიკელების მიერ სირიაზე განხორციელებულ დარტყმას მან საერთაშორისო სამართლის უხეშად გათელვა უწოდა.

– ამერიკელები არავითარ კანონებს არ დაგიდევენ, – განაცხადა მან.

ამის შემდეგ რუსეთმა შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც აშშ-ის ქმედებების დაგმობას ითვალისწინებდა. მას მხარი მხოლოდ სირიამ, ჩინეთმა და ბოლივიამ დაუჭირეს.

– რეზოლუცია უარყოფილ იქნა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

აშშ-ის წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ განაცხადა, რომ სირიაზე განხორციელებული დარტყმა რუსეთისა და ირანისათვის გაგზავნილი სიგნალია:

– აშშ ასადს ქიმიური იარაღის გამოყენების საშუალებას არა მისცემს, – თქვა ჰეილიმ.

აფეთქება ირანის სამხედრო ბაზაზე

სირიაში განთავსებულ ირანის ერთ-ერთ ბაზაზე აფეთქება მოხდა. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დაიღუპა 20 ადამიანი.

აფეთქების მიზეზები უცნობია. სირიის მედიის ცნობით, ბაზაზე ისრაელის სამხედრო თვითმფრინავმა დარტყმა განახორციელა. თურქული მედია, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ აფეთქება თავად ბაზის ტერიტორიაზე მოხდა.

გუტერეში: „ცივი ომი დაბრუნდა!“

გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ მსოფლიო კვლავ ორად გაიყო. ერთი მხრივ, რუსეთი, მეორე მხრივ – დასავლეთი. თუ ადრე სახეზე იყო იდეოლოგიური დაპირისპირება, ახლა ცივილიზაციათა დაპირისპირებაა.

– ერთი მხრივ, ევრაზიული ავტორიტარული იდეოლოგია, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს, მეორე მხრივ – დასავლური დემოკრატიული მოდელი. ასეთია თანამედროვე დაპირისპირება, – თქვა გუტერეშმა.

გაეროს გენერალური მდივანი შიშობს, რომ რუსეთი მალე მსოფლიოს რკინის ფარდით გაემიჯნება და დემოკრატიულ სახელმწიფოებზე, უწინარეს ყოვლისა, თავის მეზობლებზე თავდასხმებს დაიწყებს.

– ცივი ომის შეჩერების ბერკეტი ჩვენ არ გაგვაჩნია, – აცხადებს გუტერეში.

საერთაშორისო რეაქცია აშშ-ის მიერ სირიაზე განხორციელებულ დარტყმაზე

აშშ-ის მიერ სირიაზე განხორციელებულ დარტყმას მხარი დაუჭირეს ნატომ და ევროკავშირმა. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსის წევრი ყველა ქვეყანა ამერიკელებს მხარს უჭერს. ევროსაბჭოს თავკაცმა დონალდ ტუსკმა ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს ამერიკელებს.

ამავე დროს, გაეროს გენერალურმა მდივანმა გუტერეშმა განაცხადა, რომ გაეროს წესდება დაცულ უნდა იქნეს.

ფრთხილი იყო ერაყის პოზიციაც. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ სირიაზე განხორციელებულმა დარტყმამ შესაძლოა რეგიონში უმართავი პროცესები გამოიწვიოს. ირანის პოზიცია მკვეთრი და კატეგორიულია: ირანი ამერიკელთა ქმედებებს გმობს და პრეზიდენტ ტრამპის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს.

თურქეთმა სირიაზე დარტყმას მხარი უყოყმანოდ დაუჭირა პრეზიდენტმა ერდოღანმა და ამას კანონზომიერი მოვლენა უწოდა.

– დარტყმა სირიაზე იმის დამადასტურებელია, რომ ცნებები ღირსება, პატიოსნება და სინდისი დიდ პოლიტიკაში ბრუნდება, – ამბობს ერდოღანი.

სირიაზე დარტყმას საუდის არაბეთმაც დაუჭირა მხარი.

– პრინციპში, საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია ნათელია: სირიაზე დარტყმა წარმოადგენდა ადეკვატურ რეაქციას იმ მხეცობებზე, რომლებსაც ასადის რეჟიმი ჩადის, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კურტ ვოლკერი: „რუსეთი პასუხისმგებელია იმ საშინელ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე, რომელსაც დღეს დონბასი განიცდის!“

აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა დონბასში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი დონბასელ სეპარატისტებს 100 პროცენტით აკონტროლებს. შესაბამისად, პუტინი პასუხისმგებელია იმ საშინელ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე, რომელსაც დღეს დონბასი განიცდის.

– პუტინმა დასავლეთს მოკლე და ნათელი სიგნალი უნდა გაუგზავნოს, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენა სურს, – თქვა ვოლკერმა.

აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინისადმი სამხედრო დახმარება გაიზრდება.

– თუკი რუსეთმა ინტერვენცია მაინც გადაწყვიტა, ეს ძალიან ძვირი დაუჯდება! – ამბობს ვოლკერი.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21

განცხადებები

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

ვერის საკალათბურთო დარბაზი კალათბურთის ფედერაციას გადაეცა

კალათბურთის მოყვარულებს ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზი თამამად შეუძლიათ შერაცხონ საკალათბურთო მექად. რამდენი წელია, ეს დარბაზი კალათბურთის არ ყოფილა და ახლა ისევ უბრუნდება მას.

ამის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და ბასკონიის ხელმძღვანელებთან ერთად კემპის დახურვის ცერემონიალზე სპორტისა და კულტურის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ გვაუწყა.

შალვა გოგოლაძე:

– უკვე გარკვეულია, რომ სახელმწიფოს მიერ ვერის ბაღის საკალათბურთო კომპლექსი კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას გადაეცემა. უახლოეს მომავალში ამ დარბაზში ბასკონიის აკადემია გაიხსნება და ნებისმიერ ქართველ მოზარდს შეეძლება ესპანელ სპეციალისტებთან მთელი სეზონის განმავლობაში ვარჯიში.

ბასკონიის კემპი კვირას ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში დასრულდა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციისა და ესპანური კლუბის ერთობლივი პროექტის ფარგლებში თბილისში ბასკონიის კემპი უკვე მეოთხედ ჩატარდა და ამჯერად მასში 160-ზე მეტმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა.

წლევანდელი კემპის კოორდინატორი ცნობილი ყოფილი კალათბურთელი და მწვრთნელი მარსელო ნიკოლა იყო, რომელსაც არგენტინის ეროვნულ ნაკრებში და არაერთ ევროპულ გრანდში – ბარსელონაში, სიენაში, ტაუ კერამიკაში, პანათინაიკოსში, ბენეტონში უთამაშია. სწორედ იტალიურ ბენეტონში 2002 წელს ნიკოლას გუნდელი იყო ახალგაზრდა ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც ვერის ბაღში ძველ თანაგუნდელს ესტუმრა. ნიკოლა ცქიტიშვილს თბილად შეხვდა და ის კემპის მონაწილეებს შეახვედრა.

ესპანეთში წამსვლელი ბავშვების ვინაობა კემპის დახურვის ცერემონიალზე ბასკონიელმა კოორდინატორმა მარსელო ნიკოლამ დაასახელა. ესპანეთიდან ჩამოსული სპეციალისტები ქართველ ახალგაზრდა მწვრთნელებთან ერთად 1 კვირის განმავლობაში ავარჯიშებდნენ პერსპექტიულ ქართველ ბავშვებს, რომელთაგან საბოლოოდ ის 17 შეარჩიეს, რომლებიც ივლისში ვიტორიაში გაემგზავრებიან და ბასკონიის გენერალურ კემპში მიიღებენ მონაწილეობას.

მარსელო ნიკოლა:

– პირდაპირ გეტყვით, განცვიფრებული ვარ ქართველი ბავშვების მონაცემებით. მომავალშიც თუ მათთან სწორად ვიმუშავებთ, მათ დიდი მომავალი ელოდებათ. 160 მოზარდმა გაიარა ჩემს ხელში. ქართველ ბავშვთა თაობები უმატებენ და შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოს კარგი საკალათბურთო მომავალი გარანტირებული რომ აქვს. ქართველების ნიჭიერებაზე ისიც მიუთითებს, მათ 6 დღეში საგრძნობლად რომ მოუმატეს ტემპს. ბასკონიაში ახალბედა მოთამაშეებთან ინდივიდუალურად ბევრს ვმუშაობთ, მათ ტყორცნის, გადაცემის შესრულების დახვეწაში ვეხმარებით, ინდივიდუალურ და კოლექტიურ თამაშს ვასწავლით, მათ ფსიქოლოგიაში ჩვენ საკალათბურთო ფილოსოფიას ვამკვიდრებთ.

ხესუს ვასკესი, ბასკონიის გენერალური დირექტორი:

– უკვე მეოთხე წელია, ქართველ კოლეგებს საკალათბურთო ტალანტების შერჩევაში ვეხმარებით. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია კარგ, კვალიფიცირებულ სამუშაოს ასრულებს. ამჯერად ბავშვები კიდევ უფრო მომძლავრებულები და ტაქტიკურად უკეთ განსწავლულები დაგვხვდნენ. მოხარული ვარ, ფედერაციის მიერ საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომისა და მთლიანად მაღალ დონეზე გაწეული გარჯის გამო. ამჯერადაც 16 ბავშვს შევარჩიეთ, ვიტორიაში 2 კვირით წავიყვანთ. ამ ხნის განმავლობაში ისინი ჩვენთან იცხოვრებენ და ივარჯიშე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ტორპედო იმერულ დერბიში დამარცხდა, ქვემოქართლელებმა მოიგეს

ტორპედო-ჩიხურა 0:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 მარკოზაშვილი(89)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, გურული, ქიმაძე, კუხიანიძე, გიგაური, კუტალია (წიქარიძე 81), ტუღუში, დოლიძე (სარდალიშვილი 62), ბოხაშვილი (ლიპარტია 58)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მარკოზაშვილი (ჩიხლაძე 90), მაისაშვილი, გაბედავა, ბუღრიძე (ბუხაიძე 76), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი, დობროვოლსკი (ლექვთაძე 61)

ქუთაისის ტორპედომ მიმდინარე სეზონში მე-2 მატჩი წააგო საკუთარ მოედანზე. ტიტულის დასაცავად შემართული გუნდის მიერ ასეთი ქულების განიავება კი კარგის მომასწავებელი არ არის და, თუ ასე გაგრძელდა, ჩემპიონობაზე ფიქრს დაემშვიდობება.

„რამაზ შენგელიაზე“ იმერულ დერბიში ტორპედომ საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა.

არადა, მთელი მატჩის განმავლობაში ტორპედო უფრო მეტად უტევდა, მეტი ხიფათიც შექმნა, მაგრამ მოიგო იმ გუნდმა, რომელმაც მეტოქის შეცდომა გამოიყენა და მიზანი გაისწორა.

პირველად ანგარიშის გახსნასთან ტორპედო ახლოს 51-ე წუთზე იყო, როდესაც ბექა ტუღუშის ძლიერ გასროლა ხარიხამ აისხლიტა. 69-ე წუთზე „ტორპედოს“ მორიგი რეალური საგოლე შანსი შეექმნა, თუმცა იმავე ტუღუშმა კარში დარტყმის ნაცვლად მცველის მოტყუება განიზრახა, რის შემდეგაც დარტყმა დაუგვიანდა.

შეხვედრის საბოლოო ანგარიში 89-ე წუთზე დაფიქსირდა. ტორპედოს მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებით თეიმურაზ მარკოზაშვილმა ისარგებლა და ჩიხურას ქვეყნის ჩემპიონის წინააღმდეგ სტუმრად 3 ქულა მოაპოვებინა.

რუსთავი-კოლხეთი 2:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 კობახიძე(2), 2:0 ციქციშვილი(41)

რუსთავი: რევიშვილი, პაპავა, ცინცაძე, მიქელთაძე, ქავთარაძე, ცარიკაევი, ფონიავა (გეგეჭკორი 82), კობახიძე (კვირკველია 58), ცხოვრებოვი, გაბულოვი, ციქციშვილი (მარცვალაძე 70)

კოლხეთი: პოლტავცევი, კილასონია, გოგონაია, მახარაძე, არზიანი, პანამარიოვი, დანილოვი, მიხაილოვი, კაბორე, კვასოვი (ტყემალაძე 63), გოგბერაშვილი (კაკულია 10)

ვლადიმირ გაზაევის გუნდმა თბილისის დინამო დაამარცხა და უმალ ჩემპიონობის უდავო ფავორიტად შერაცხეს, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ვერ მოიგო თამაშები. თუმცა, ბოლო 2 ტურია ხასიათი გამოიკეთა და მიჯრით 6 ქულა აიღო. რუსთაველთა მსხვერპლი ამჯერად ფოთის კოლხეთი შეიქნა.

ანგარიში თამაშის დაწყებიდან მალევე, მე-2 წუთზე გაიხსნა: ზაზა ციცქიშვილის მოწოდებული კუთხური კოლხეთის კარის ძელს მოხვდა და უკან გადმოვარდნილი ბურთი რუსთაველთა კაპიტან მამუკა კობახიძეს მიუვიდა და შემდეგ ცარიელ კარში აღმოჩნდა.

41-ე წუთზე ბექა მიქელთაძის დარტყმული ბურთი კოლხეთის უკრაინელმა მეკარემ, ანდრიე პოლტავცევმა ცუდად მოიგერია, დამატებაზე პირველი ზაზა ციქციშვილი გაჩნდა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

შეხვედრის გარდამტეხი მომენტი 55-ე წუთი აღმოჩნდა: მსაჯმა მოედნიდან ზურაბ არზიანი გააძევა და კოლხეთი კაცნაკლული დარჩა. სტუმრები მანამდეც ვერ ახერხებდნენ ვერაფერს, ამის შემდეგ კი საერთოდ ხეირიანი არაფერი მომხდარა და გუნდებმა თამაში ჩაამთავრეს.

ლოკომოტივი-სიონი 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 ნ.ჭანტურია (34სკ), 0:2 დვალი (42), 1:2 გავაშელიშვილი (43)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ღონღაძე, ნ.ჭანტურია, უბილავა, ხიდეშელი, ცნობილაძე (რ.ჭანტურია 66), ლობჟანიძე, გვალია (ჯიქია 82), სამურკასოვი (კიკაბიძე 74), კომახიძე, გავაშელიშვილი, არველაძე

სიონი: მუჯრიშვილი, გურეშიძე, ნოზაძე, ქიქავა, გაფრინდაშვილი, გიორბელიძე, მანაგაძე (მინდორაშვილი 74), მიქაბერიძე (კოშკაძე 90), დათუნაიშვილი, სიხარულია (ხმალაძე 66), დვალი

აუტსაიდერების ჯახში სტუმრებმა იმარჯვეს. მატჩის საბოლოო ანგარიში პირველივე ტაიმში გადაწყდა.

ანგარიში 35-ე წუთზე ბოლნისის სიონმა გახსნა. მარჯვენა ფლანგიდან, ლაშა მანაგაძის ჩაწოდების შემდეგ, საჯარიმოში რევაზ თევდორაძემ და ნიკა ჭანტურიამ შეუთანხმებლად იმოქმედეს, რასაც ლოკომოტივის კაპიტნის ავტოგოლი მოჰყვა.

სტუმრებმა მეორე გოლი 44-ე წუთზე გაიტანეს. მარცხენა ფლანგიდან, ბოლნისელთა იერიში ზვიად სიხაულიამ განავითარა, რომელმაც საჯარიმოში ჯაბა დვალი მოძებნა და ბოლნისელთა შემტევმაც შეტევა ზუსტად დაასრულა.

ლოკომოტივმა საპასუხო გოლის გატანა ერთ წუთში მოახერხა. მამია გავაშელიშვილმა ვატო არველაძის პასი გამოიყენა და მიმდინარე ეროვნულ ლიგაში მეორე გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარში, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ანგარიში აღარ შეცვლილა. გატანის შანსი არველაძეს, დავით სამურკასოვს, ლაშა გვალიასა და გავაშელიშვილს ჰქონდა, თუმცა ოთხივე მათგანის დარტმა არაზუსტი აღმოჩნდა.

84-ე წუთზე, ლოკომოტივი მოედანზე 10 ფეხბურთელით დარჩა. ირაკლი კომახიძემ ტრავმის გამო, მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო, ამ დროისთვის კი ლოკოს მთავარ მწვრთნელს სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა და მატჩის ბედიც პრაქტიკულად აქ გაირკვა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	5	4	0	1	12-4	12
2.დინამო	5	4	0	1	12-5	12
3.ჩიხურა	6	3	2	1	11-5	11
4.დილა	5	3	1	1	10-7	10
5.ტორპედო	6	3	0	3	8-6	9
6.რუსთავი	6	3	0	3	6-5	9
7.სიონი	6	2	1	3	6-9	7
8.ლოკომოტივი	6	1	1	4	6-14	4
9.კოლხეთი	6	1	1	4	4-15	4
10.სამტრედია	5	1	0	4	3-8	3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

14 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

საუთჰემპტონი-ჩელსი	2:3
ბარნლი-ლესტერი	2:1
კრ.პალასი-ბრაიტონი	3:2
ჰადერსფილდი-უოტფორდი	1:0
სუონსი-ევერტონი	1:1
ლივერპული-ბორნმუთი	3:0
ტოტენჰემი-სიტი	1:3

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	33	28	3	2	93-25	87
2.მანჩესტერი	32	22	5	5	63-25	71
3.ლივერპული	34	20	10	4	78-35	70
4.ტოტენჰემი	33	20	7	6	65-30	67
5.ჩელსი	33	18	6	9	57-33	60
6.არსენალი	32	16	6	10	61-43	54
7.ბარნლი	33	14	10	9	33-29	52
8.ლესტერი	33	11	10	12	49-47	43
9.ევერტონი	34	11	9	14	39-54	42
10.ნიუკასლი	32	10	8	14	33-41	38
11.ბორნმუთი	34	9	11	14	41-56	38
12.უოტფორდი	34	10	7	17	42-60	37
13.ბრაიტონი	33	8	11	14	31-46	35
14.ჰადერსფილდი	34	9	8	17	27-54	35
15.ვესტ ჰემი	32	8	10	14	40-58	34
16.კრ.პალასი	34	8	10	16	36-54	34
17.სუონსი	33	8	9	16	27-46	33
18.საუთჰემპტონი	33	5	13	15	33-53	28
19.სტოკი	33	6	9	18	30-63	27
20.ვესტ ბრომვიჩი	33	3	12	18	26-52	21

ინგლისი. ჩემპიონლიგა

შეფილდი-მილუოლი	1:1
ბარნსლი-ბოლტონი	2:2
ბარტონი-დერბი	3:1
ქარ-პრესტონი	1:2
მიდლსბრო-ბრისტოლი	2:1
ნორვიჩი-კარდიფი	0:2
ნოტინგემი-იფსვიჩი	2:1
რედინგი-სანდერლენდი	2:2
ჰალი-უენსდი	0:1
ფულემი-ბრენტფორდი	1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სევილია-ვილიარეალი	2:2
ბარსელონა-ვალენსია	2:1
ლას პალმასი-სოსიედადი	0:1
ლეგანესი-სელტა	1:0
ბილბაო-დეპორტივო	2:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	32	25	7	0	81-17	82
2.ატლეტიკო	31	20	8	3	51-15	68
3.ვალენსია	32	20	5	7	60-33	65
4.რეალი	31	19	7	5	77-34	64
5.ბეტისი	32	16	4	12	53-53	52
6.ვილიარეალი	32	14	6	12	43-39	48
7.სევილია	32	14	5	13	41-52	47
8.ხირონა	32	12	8	12	44-49	44
9.სელტა	32	12	7	13	50-44	43
10.სოსიედადი	32	11	7	14	57-52	40
11.ეიბარი	31	11	7	13	36-45	40
12.ხეტაფე	31	10	9	12	35-30	39
13.ბილბაო	32	9	12	11	35-38	39
14.ლეგანესი	32	11	6	15	27-39	39
15.ესპანიოლი	31	8	12	11	26-38	36
16.ალავესი	31	11	2	18	28-45	35
17.ლევანტე	31	6	13	12	28-45	31
18.დეპორტივო	32	6	8	18	32-65	26
19.ლას პალმასი	32	5	6	21	22-64	21
20.მალაგა	31	4	5	22	19-48	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რეუსი-კადისი	1:0
ლორკა-ალკორკონი	1:1
ნუმანსია-ლუგო	2:0
ლეონესა-ტენერიფე	3:2

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი	2:0
ჰერტა-კიოლნი	2:1
ლევერკუზენი-აინტრახტი	4:1
შტუტგარტი-ჰანოვერი	1:1
ბაიერნი-გლადბახი	5:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	30	24	3	3	81-22	75
2.შალკე	29	15	7	7	45-33	52
3.დორტმუნდი	29	14	9	6	57-39	51
4.ლევერკუზენი	30	14	9	7	55-37	51
5.ჰოფენჰაიმი	30	12	10	8	55-42	46
6.აინტრახტი	30	13	7	10	41-37	46
7.ლაიპციგი	29	13	7	9	44-41	46
8.გლადბახი	30	11	7	12	39-48	40
9.ჰერტა	30	9	12	9	35-35	39
10.შტუტგარტი	30	11	6	13	27-35	39
11.აუგსბურგი	30	9	10	11	38-40	37
12.ვერდერი	29	9	9	11	33-35	36
13.ჰანოვერი	30	9	9	12	38-44	36
14.ვოლფსბურგი	30	5	15	10	30-37	30
15.ფრაიბურგი	29	6	12	11	26-48	30
16.მაინცი	29	6	9	14	30-47	27
17.ჰამბურგი	30	5	7	18	23-48	22
18.კიოლნი	30	5	6	19	29-58	21

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-აუე	2:0
დინამო-კილი	0:4
დუისბურგი-ზანდჰაუზენი	0:2
ზ.პაული-უნიონი	0:1

იტალია. სერია ა

კალიარი-უდინეზე	2:1
ჯენოა-კროტონე	1:0
კიევო-ტორინო	0:0
ატალანტა-ინტერი	0:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	31	26	3	2	74-18	81
2.ნაპოლი	31	24	5	2	66-21	77
3.ლაციო	31	18	6	7	75-40	60
4.რომა	31	18	6	7	50-26	60
5.ინტერი	32	16	12	4	50-22	60
6.მილანი	31	15	7	9	43-36	52
7.ფიორენტინა	31	14	8	9	44-33	50
8.ატალანტა	32	13	10	9	47-34	49
9.სამპდორია	31	14	6	11	50-46	48
10.ტორინო	32	11	13	8	46-38	46
11.ჯენოა	32	10	8	14	25-31	38
12.ბოლონია	31	10	5	16	35-43	35
13.უდინეზე	32	10	3	19	40-50	33
14.კალიარი	32	9	5	18	30-52	32
15.სასუოლო	31	7	9	15	21-51	30
16.კიევო	32	7	9	16	29-51	30
17.სპალი	31	5	12	14	30-52	27
18.კროტონე	32	7	6	19	29-57	27
19.ვერონა	31	7	4	20	26-62	25
20.ბენევენტო	31	4	1	26	26-73	13

იტალია. სერია ბ

ბრეშა-კარპი	1:1
ვირტუსი-აველინო	1:1
ნოვარა-ტერნანა	0:3
პალერმო-კრემონეზე	1:1
პერუჯა-ვენეცია	1:1
პესკარა-ბარი	2:2
სალერნიტანა-ჩეზენა	1:1
ფროზინონე-სპეცია	1:1
ემპოლი-პრო ვერჩელი	3:2

საფრანგეთი. 1 ლიგა

ლიონი-ამიენი	3:0
კაენი-ტულუზა	0:0
ლილი-გენგამი	2:2
ნანტი-დიჟონი	1:1
რენი-მეცი	1:2
სტრასბური-სტ.ეტიენი	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	32	27	3	2	96-22	84
2.მონაკო	32	21	7	4	77-34	70
3.ლიონი	33	19	9	5	72-36	66
4.მარსელი	32	18	9	5	64-38	63
5.რენი	33	13	8	12	42-40	47
6.ნიცა	33	13	8	12	44-45	47
7.მონპელიე	32	10	16	6	31-26	46
8.სტ.ეტიენი	33	12	10	11	38-45	46
9.ნანტი	33	12	9	12	32-36	45
10.გენგამი	33	11	9	13	38-48	42
11.დიჟონი	33	11	9	13	46-61	42
12.ბორდო	32	11	7	14	36-42	40
13.ანჟე	33	8	13	12	38-44	37
14.ამიენი	33	10	7	16	29-37	37
15.კაენი	32	10	5	17	23-42	35
16.სტრასბური	33	8	10	15	38-58	34
17.ტულუზა	32	7	9	16	29-44	30
18.ტრუა	32	8	5	19	25-46	29
19.ლილი	33	7	8	18	32-53	29
20.მეცი	33	6	7	20	31-64	25

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

პარიზი-რეიმსი	0:3

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-ტვენტე	2:1
ვენლო-ჰერენვენი	0:2
ვიტესი-სპარტა	7:0
ზვოლე-ექსელსიორი	1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ავიში-ფეირენშე	1:0
პორტიმორენშე-ეშტორილი	0:1
ბოავიშტა-ავიში	3:3
გიმარაეში-სეტუბალი	1:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ამკარი-რუბინი	0:3
დინამო-ლოკომოტივი	0:4
ზენიტი-ანჟი	1:0
კრასნოდარი-არსენალი	3:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-სტ.გალენი	1:2
ლუგანო-თუნი	1:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-კილმარნოკი	1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-მატერსბურგი	3:0
ალტახი-ვოლფსბერგერი	2:1
სტ.პოლენი-ლინცერი	1:3

ბელგია. ა დივიზიონი

სტანდარდი-გენტი	1:0
ვარეგემი-მუსკრონი	5:1
ბევერენი-ლეუვენი	0:2
ლოკერენი-ეუპენი	3:0
ლიერსი-კორტრაიკი	0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-აპოლონი	0:0
ლევადიაკოსი-ასტერასი	1:0
პაოკი-პანიონიოსი	3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ქარაბუქი	2:0
მალათია-ალანია	1:1
სივასი-ფენერბახჩე	1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

იაბლონეცი-სიგმა	0:0
ბანიკი-ბოჰემიანსი 1905	2:0
სლოვაკო-ბრნო	1:0
დუკლა-ლიბერეცი	2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

იაგელონია-გურნიკი	1:2
ლეგია-ზაგლებიე	0:1
კრაკოვია-პიასტი	2:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ვერესი	2:0
შახტარი-დინამო	0:1

დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ლუნგბიუ	1:0

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-სირიუსი	0:1
ჰაკენი-დალკურდი	3:0

ნორვეგია. ელიტსერია

სტარტი-ვალერენგა	1:6

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვაასა-როვანიემი	0:1
მარიეჰამნი-ჰიკი	0:1

ჟირაფმა თავით მანქანის მინა ჩაამსხვრია

დიდ ბრიტანეთში ჟირაფმა საფარის დროს თავით მანქანის ფანჯრის მინა ჩაამსხვრია. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი უესტ-მიდლენდსის საგრაფოში საფარი-პარკში მოხდა. ცხოველმა მანქანის სალონში თავი ღია ფანჯრიდან შეყო. ამით შეშინებული მგზავრი ფანჯრის დახურვას შეეცადა, მაგრამ მინა ჩაამსხვრა. ამ ინციდენტის შედეგად დამთვალიერებლები არ დაშავებულან. მათ მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს საფარი-პარკის ხელმძღვანელობას. მათ, თავის მხრივ, ჟირაფი გასინჯეს და დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს.

აღსანიშნავია, რომ საფარი-პარკის ზოგიერთ ნაწილში დამთვალიერებლებს ცხოველებისთვის საკვების მიცემა არ ეკრძალებათ, თუმცა ამ დროს მანქანის ფანჯრები სანახევროდ უნდა იყოს გაღებული, ხოლო ხელი, რომელშიც დამთვალიერებელს ცხოველისთვის მისაცემი საკვები ეჭირება, აუცილებლად გარეთ უნდა იყოს გაყოფილი.

ამერიკელმა ქალმა ბაყაყებისგან ბიკინი დაიმზადა

ამერიკელმა ფაბიანა ლაფლერმა ბიკინი ბაყაყების ტყავისგან შეიკერა, რომლებიც მან დაიჭირა და შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული სააგენტო ავრცელებს.

გოგონას მტკიცებით, მან ეს ყოველივე მამისგან ისწავლა, რომელიც მონადირე იყო. ყოველ ჯერზე, როდესაც ირემს მოკლავდა, ცდილობდა, რომ ნანადირევის არც ერთი ნაწილი არ დაკარგულიყო. ხორცის გარდა, ის იყენებდა ტყავსაც და ძვლებსაც: მათგან გოგონას მამა დანის ტარებს აკეთებდა.

– ახლახან ბაყაყების დასაჭერად ვიყავი წასული და გადავწყვიტე, მამისთვის მიმებაძა, გამომეყენებინა ნანადირევის ის ნაწილები, რომელსაც უმრავლესობა აგდებს. ბაყაყების თათები შევწვი, ხოლო მათი ტყავისგან საცურაო კოსტიუმი შევიკერე, – განაცხადა ლაფლერმა.

კობრისა და პითონის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



მალაიზიაში ტურისტებმა ვიდეოზე გადაიღეს კობრისა და პითონის ორთაბრძოლა. აღნიშნულმა ვიდეომ ახალი ამბების ადგილობრივი პორტალის ყურადღება მიიქცია.

ტურისტებმა ერთმანეთზე გადაჭდობილი გველები პენანგის შტატის ბოტანიკურ ბაღში გადაიღეს. დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის პითონი ოთხმეტრიან კობრაზე იყო შემოხვეული. ასეთ უძრავ მდგომარეობაში რეპტილიებმა დაახლოებით ორი საათი გაატარეს.

ტურისტმა კ. რამაკრიშნამ, რომელმაც ვიდეო გადაიღო, განაცხადა, რომ ერთ-ერთი მოგზაური კობრას თავზე ჯოხით შეეხო, რათა შეემოწმებინა, ის ცოცხალი იყო თუ არა. ქვეწარმავალმა თავი გაატოკა. ამ სანახაობამ უამრავი ტურისტი მიიზიდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეშინდა და გზის გაგრძელებაზე უარი განაცხადა.

ისინი დიდხანს უყურებდნენ გველების დაპირისპირებას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაიგეს, რომელმა გაიმარჯვა. ზოგიერთმა მათგანმა კი ივარაუდა, რომ ორივე ქვეწარმავალი უახლოესი რესტორნის მენიუში აღმოჩნდებოდა.

მოცურავეების გვერდით მსოფლიოში ყველაზე დიდი ზვიგენი დააფიქსირეს

მექსიკის სამხრეთ ქვემო კალიფორნიის სანაპიროსთან გადაიღეს ვიდეოთი დიდი ვეშაპისებური ზვიგენი, რომელიც ზღვაში მოცურავე ადამიანებთან მიცურდა.



ვიდეორგოლის ავტორმა, 28 წლის ტარსიციო სანიუდო სუარესმა გიგანტური თევზი ჰაერიდან დრონის დახმარებით გადაიღო.

– ვეშაპისებური ზვიგენები წყნარი და ადამიანებისთვის უსაფრთხო არსებები არიან, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა, – იმ დღეს მეც ვიცურავე მათთან ერთად და სპეციალური კამერის დახმარებით წყალქვეშაც გადავიღე.

ვეშაპისებური ზვიგენი ყველაზე დიდ თანამედროვე თევზად ითვლება. მისი სიგრძე 12,5 მეტრს აღწევს. ისინი უმეტესად პლანქტონით იკვებებიან. ყოველ ზამთარს მექსიკის ქალაქ ლა-პასის მახლობლად მდებარე ყურეში მიცურავენ და იქ თითქმის გაზაფხულის ბოლომდე რჩებიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკელმა ფასტფუდის ჭამით წონაში დაიკლო

აშშ-ის მცხოვრები სამი თვის მანძილზე ყოველდღე რესტორან Chipotle-ს ფასტფუდით იკვებებოდა და გახდა. ის საკუთარ ისტორიაზე ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემას ესაუბრა.

ტაილერ მარინელიმ, ფლორიდის შტატის ქალაქ პარკლენდიდან, აღიარა, რომ წონაში ცხრა კილოგრამი დაიკლო. ყოველდღე ის საკვების მიღებას რვა საათს ანდომებდა, ხოლო დანარჩენი 16 საათის განმავლობაში შიმშილობდა. ასევე ის მოქნილი დიეტის პრინციპებს მისდევდა – რაციონს ანაწილებდა პრინციპით დღეში 40 პროცენტი ნახშირწყლები, 40 პროცენტი ცილები და 20 პროცენტი ცხიმი.

თუმცა მარინელიმ გადაწყვიტა, უარი არ ეთქვა თავის საყვარელ რესტორნის ფასტფუდზე და მოიფიქრა, თუ როგორ შეეტანა ისინი საკუთარ მენიუში. ის ჭამდა კერძის მხოლოდ ცალკეულ ინგრედიენტებს, ძირითადად, ბრინჯს, ქათამს. უარი თქვა არაჟანზე, კარტოფილ ფრისა და ყველზე. ქათმის და ბრინჯის გარდა, მარინელი რესტორნის მენიუდან ასევე შეექცეოდა კვერცხის ცილას, წითელ ლობიოს და იოგურტს.

დიეტოლოგმა სიუზან ბერკმანმა აღნიშნა, რომ მარინელის დიეტას დაბალანსებულს ვერ უწოდებს, ვინაიდან მასში არ შედის ხილი და ბოსტნეული.

– დროთა განმავლობაში ამან შესაძლოა ცუდ შედეგებამდე და ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტამდე მიგვიყვანოს, – აღნიშნა დიეტოლოგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲡᲯᲝᲜᲕᲝᲠᲓᲘ



1. დაბალი ტროპიკული პალმა გიგანტური ფოთლებით; 2. ჰო, დიახ; 3. პარაბოლის მოძრაობით მიღებული ზედაპირი (მათემატ.); 4. ძველებური სიუიტა; 5. ჩეხური ავტომარკა; 6. მათემატიკის ნაწილი; 7. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 8. კრინოლინი; 9. არკადი ... (პაროდისტი); 10. მდინარე რუსეთში; 11. ქალაქი უზბეკეთში; 12. პასიური, უნებისყოფო ადამიანზე იტყვიან; 13. ზმნის წარსული დრო; 14. ერთ-ერთი შეგრძნება; 15. სახოტბო ლექსი; 16. სამაგიდო თამაში; 17. ნუშის ლიქიორი; 18. ფუჭი, უნაყოფო; 19. ... –მუსიკა; 20. ანუკ ...; 21. ბუნებრივი საღებავი; 22. კავშირი (გრამატ.); 23. გვარიანი და კეთილად წვრთილი ცხენი (საბა); 24. თბილისის კალა-ციხის გვიანდელი სახელწოდება; 25. „...–ჰოლი“ (საკონცერტო დარბაზი ნიუ იორკში); 26. ...მორჩილაძე; 27. მთრიმლავი ნივთიერება; 28. ... ლისაშვილი; 29. ხანა, ეპოქა; 30. ძვირფასბეწვიანი ცხვრის ჯიში; 31. კურორტი ჩრდილო კავკასიაში; 32. ზღვაში მცურავი ყინულის მთა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. მიკიტანი; 2. ქრონიკა; 3. ოდესა; 4. ბედლამი; 5. კუმურდო; 10. მაკიზარი; 11. მენეჯმენტი; 12. ტრამვაი; 15. სტივიდორი; 16. სტამპა; 17. ლუტეცია; 20. ოპელი.

თარაზულად: 6. ნიკორწმინდა; 7. შერბური; 8. ანაკლია; 9. პარიკი; 13. ჩოხა; 14. კეხურა; 18. იმუნიტეტი; 19. ცურვა; 21. შპიგი; 22. მაინცი; 23. პანტომიმა; 24. ქრისტინე.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ტეკილა; 2. კანოე; 3. ტუაზი; 4. მანეჟი; 6. რევერსი; 9. ლავრა; 11. მიამიტი; 15. კურცხაარი; 16. ბორანო; 17. კორექცია; 19. ინგლისი; 21. სტაიერი; 22. ცაცხვი.

თარაზულად: 5. დემენცია; 7. ევკომია; 8. ენგური; 10. საჩხერე; 12. ჟიჟკა; 13. მღილი; 14. პარაკლისი; 18. რომბი; 20. ქოქოსი; 23. ჩალხია; 24. აისი; 25. თუნუქი; 26. ვერე; 27. არაბული.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გოლდენ სტეიტმა ფლეი ოფი ფაჩულიას გარეშე გახსნა



ნბა-ს ფლეი ოფი ჩემპიონის მატჩით დაიწყო – ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტი უორიორზმა სან ანტონიოს უმასპინძლა და 113:92 დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს მთავარი ვარსკვლავი სტეფ კარი აკლდათ, მატჩი საკმაოდ იოლი გამოდგა. სტივ კერმა კი, ფაჩულიას გარდა ყველა ათამაშა. ოკლენდელთა მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე ვერაფერს გეტყვით, მატჩი რომ სან ანტონიოში გამართულიყო, ვიფიქრებდით რომ, შარშანდელი გამოძახილის გამო არ შეუშვა მოედანზე, მაგრამ... გეხსომებათ, შარშან ფაჩულიამ ტეხასელთა მთავარ ვარსკვლავ კავაი ლეონარდს მიაყენა ტრავმა, რომელიც დღემდე ვერ თამაშობს.

გამარჯვებულთა ბომბარდირი კლეი ტომპსონი გახდა 27 ქულით (6-დან 5 სამქულიანი ჩააგდო), კევინ დურანტმა 24 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი მიითვალა. დრეიმონდ გრინის ანგარიშზე ორმაგი დუბლია – 12 ქულა, 11 პასი და 8 მოხსნა. ზაზა ფაჩულიას მაგივრად მოთამაშე ჯავეილ მაკგიმ 16:23 წუთში 15 ქულა, 4 მოხსნა და 2 დაფარება ჩაიწერა აქტივში.

შეგახსენებთ, რომ ზაზამ რეგულარული სეზონი საშუალოდ 5.7 ქულით, 4.7 მოხსნითა და 1.6 პასით დაასრულა.

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ბენ და საბოლოოდ 3-4 მათგანს ვიტორიაში 2 წლით დავიტოვებთ.

პაატა გურასპაული, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– ცხადია, ამ პროექტის თაობაზე ინფორმირებული გახლდით, თუმცა, ეს ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი კემპია. როგორც ესპანელები ამბობენ და ჩვენც ვამჩნევთ, ჩვენ ბავშვებს საკალათბურთო კუთხითაც აქვთ მომატებული და ფიზიკურადაც, სიმაღლეს ვგულისხმობ. ბავშვების მონდომება, შემართება, ერთმანეთთან დამეგობრების სურვილი თვალშისაცემია. ისინი მეტად მოტივირებულები არიან, ესპანელები კი ცდილობენ, მათ ის საკალათბურთო ელემენტები შეასწავლონ, რაც ზუსტად მათ ასაკში უნდა აითვისონ და გაითავისონ. ესპანელების თხოვნაა, რომ დამწყებ კალათბურთელებს 2-3 ქართველი მწვრთნელიც გაჰყვეს. სამომავლოდ ესპანეთში 2 საკალათბურთო მენეჯერსაც მივავლენთ. ბასკონიის აკადემიასთან თანამშრომლობით კმაყოფილები ვართ და სხვანაირად არც შეიძლება იყოს – ხუთწლიანი კონტრაქტი ჩვენთვის მეტად სასარგებლოა და ამას დროც დაადასტურებს. ამასთან, სამომავლოდ მარტო ერთ აკადემიასთან თანამშრომლობით არ შემოვიფარგლებით. ლიტვაში გავემგზავრები ჩემ მეგობარ არვიდას საბონისთან. ეს საკითხი საბასთან უკვე შეთანხმებული მაქვს, თუმცა, ვიზიტის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ ვიცი. შესაძლოა, 23 აპრილისთვის კაუნასში ვიყო, შესაძლოა, ბალტიისპირეთში უფრო მოგვიანებით ჩავიდე. ლიტვაში საბავშვო აკადემიების მონახულებას ვაპირებთ და პერსპექტივაში მათთან თანამშრომლობის მონახაზსაც შევადგენთ.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ᲐᲡᲢᲠᲝᲞᲠᲝᲒᲝᲖᲘ 16 აპრილისთვის

ᲕᲔᲠᲫᲘ – საკუთარი პრინციპების დაცვა მოგიწევთ. აქტიურობა დღეს რეკომენდებული არ არის. **ᲙᲣᲠᲛᲘ** – საღი აზრი შეინარჩუნეთ. გაუფრთხილდით ფინანსებს. მოსალოდნელია არასასურველი შეხვედრა. **ᲤᲧᲣᲞᲔᲑᲘ** – მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ნუ იქნებით იმპულსური. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. უამრავ დადებით ემოციას მიიღებთ. **ᲚᲝᲛᲘ** – ნებისმიერი საქმე გულმოდგინედ შეასრულეთ. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. **ᲙᲐᲚᲜᲣᲚᲘ** – იმედი გიცრუვდებათ. იოლად ნურავის მიენდობით. დახმარება მეგობრებს სთხოვეთ. **ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ** – ილუზიების აყოლა, ეჭვიანობა გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. იყავით ტაქტიანი. **ᲦᲠᲘᲐᲜᲙᲐᲚᲘ** – წარმატება ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. სიჯიუტე და ეგოიზმი დაუშვებელია. **ᲛᲔᲗᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – ემოციები აკონტროლეთ. ახლობლების რჩევებს ენდეთ. საღამოს აქტიურად დაისვენეთ. **ᲗᲮᲘᲡ ᲠᲫᲐ** – უხეშობა, სხვის საქმეში ჩარევა კარგს არაფერს მოგიტანთ. თუ შესაძლებლობა გექნებათ, განმარტოვდით. **ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ** – ახალი შთაბეჭდილებები სიცოცხლის ხალისს შეგმატებთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **ᲗᲔᲗᲠᲔᲖᲘ** – შექმენით ფინანსური რეზერვი. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

გიორგი სანაიას შვილი, სანდრო სანაია, რუსთავი 2-ზე მუშაობს

ცნობილი ჟურნალისტის გიორგი სანაიას შვილი, სანდრო სანაია, ტელეკომპანია რუსთავი 2-ში სამუშაოდ მივიდა.

სანდრო თავის კოლეგებთან ერთად შაბათ-კვირას დილის გადაცემას უძღვება და მაყურებელს საინტერესო სიახლეებს აცნობს.

სანდროს ამ გადაწყვეტილებას დადებითად შეხვდნენ მამის კოლეგები და მეგობრები. ყველაზე მეტად კი ამით ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ამაყობს:

– „დილა მშვიდობისა, საქართველო უქმეებზე“ მიხარია, რომ სანდრო ჩვენთანაა! მამამისივით ნიჭიერი და სუფთა გააგრძელებს გიორგის ხაზს მის მშობლიურ რ2-ში. ეს ერთ-ერთი ის გადაწყვეტილებაა, რომლითაც სულ ვიამაყებ.

გიორგი მღებრიშვილი ესპანური „ვოისის“ ფინალისტი გახდა

მომღერალი და იუმორისტი გიორგი მღებრიშვილი ესპანური „ვოისის“ ფინალისტი გახდა. ის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

გიორგი ესპანეთში ცხოვრობს და სწორედ ამან გადააწყვეტინა იქაურ „ვოისში“ მონაწილეობა.

პირველივე ეტაპზე გიორგიმ ხმათა უმრავლესობით ლიდერობა არავის დაუთმო, გადამწყვეტ ტურში კი ჟიურის წინაშე შესრულებული სიმღერით ფინალში აღმოჩნდა და საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

ბესიკ დულაშვილი ქართული ენის დაცვას ითხოვს



მხატვარი ბესიკ დულაშვილი ქართული ენის დაცვას ითხოვს და თითოეულ მოქალაქეს სთხოვს, ამაში კუთვნილი მცირე წვლილი შეიტანონ.

ბესიკ დულაშვილი:

– დედაენის დღესთან დაკავშირებით ერთ რამეს შემოგთავაზებთ. გულზე მჯიღის ცემა, მშობლიური ენის სადღეგრძელოებით სასმისში თავის ჩახრჩობა და იმის მტკიცება, თუ რა ცუდია, რომ ქართულ ენას უგულებელვყოფთ, ყველას შეგვიძლია, გაკეთებით კი არაფერს ვაკეთებთ.

პირველი და უმთავრესი: არ ეწვიოთ კაფეს, რესტორანს, მაღაზიას,თუ მას აბრა ქართულ ენაზე არ აქვს! ჯერ აქედან დავიწყოთ!

მაგრამ, ხომ ვიცი, ამასაც ფეხებზე დავიკიდებთ და...

„გაუმარჯოს დედაენას“ – ყვირილს დავიწყებთ კვლავ!

ბერა და ზაზა ნოზაძე შერიგდნენ

რეპერები ბერა ივანიშვილი და ზაზა ნოზაძე შერიგდნენ. ზაზამ ინტერნეტში ვიდეო გაავრცელა, სადაც ბერას მიმართ ჩადენილ ქმედებებზე ბოდიში საჯაროდ მოიხადა.

რეპერებს შორის ყველანაირი გაუგებრობა დასრულებულია. ისინი თავიანთ ერთგულ მსმენელს სულ მალე დუეტსაც შესთავაზებენ.

ბერა:

– „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. მიხარია, რომ გაუგებრობა მეგობრობით დასრულდა და საერთო სიმღერით დაგვირგვინდება.

ერთმანეთის გულისტკენა მარტივია, სიყვარულს კი მუდმივად გაფრთხილება სჭირდება.

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

დეკანოზი ილია ჭიღლაძე: „ეროვნული საუნჯე ნადგურდება!“

დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაბამისმა უწყებებმა და სპეციალისტებმა დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რათა ეროვნული საუნჯე გადაარჩინონ.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე:

– წლებია, ფაქტობრივად, ღრმა ბავშვობიდან, ვსწავლობ, ვაკვირდები, ვკითხულობ საქართველოს ისტორიის, არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების შესახებ მასალებს, სამეცნიერო თუ საცნობარო ლიტერატურას, ვეცნობი ძეგლებსა და ფოტოფიქსაციას ვეწევი აქტიურად, სპეციალისტებისთვის უცნობი ქართული ძეგლებიც კი მინახავს/აღმომიჩენია საზღვარგარეთ, სოციალურ ქსელშიც აქტიურად ვდებ ამ მიმართულებით საგანმანათლებლო და საცნობარო მასალებს და თვალნათლივ ვხედავ და მაწუხებს ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც ამ მხრივ არსებობს საქართველოში.

მრავალი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი განადგურდა ან დაზიანდა არა მხოლოდ უახლოეს თუ შორეულ წარსულში, არამედ, ეს საშინელი პროცესი ახლაც მიმდინარეობს ჩვენ თვალწინ.

მრავალი ეკლესია-მონასტერი, ციხე-სიმაგრე, საცხოვრებელი ნაგებობა არაპროფესიონალური/კუსტარული სამუშაოებითა და ჩარევებით, ზოგ შემთხვევაში კი დაბალკვალიფიციური რესტავრაციით ზიანდება და ნადგურდება.

ეს ეხება როგორც არტეფაქტებს, ფრესკას, იატაკს, კანკელს, წმინდა ტრაპეზს, ფასადებს, ორნამენტებს, სახურავს, ინტერიერის მოწყობას, გაფორმებას და ა.შ., ისე ძეგლის იერსახეს, ისტორიულ გარემოსა და განაშენიანებას. არაერთ შემთხვევაში საფლავებსაც არ მოერიდნენ და გაანადგურეს, ადგილი უცვალეს საფლავის ქვებს. განახლების ტალღამ მამა-პაპათა საუკუნოვან დანატოვარს ბევრგან უხეშად უცვალა იერსახე, გემოვნება, სტილი-ლაზათი, ბუნებასთან და ლანდშაფტთან ჰარმონიული კავშირი.

ის, რაც ხელიხელსაგოგმანები და მოსაფრთხილებელი უნდა ყოფილიყო, კვალიფიციურ სპეციალისტთა ჩართულობით უნდა გაკეთებულიყო, უვიცთა და დაუდევართა ხელმა წაშალა და დააზიანა.

თანამოქალაქეთა სოლიდური ნაწილის აზროვნება ამ კუთხით არის ნულს ქვემოთ. ამიტომ სახელმწიფომ, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, ასევე მასმედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანია უნდა წამოიწყონ ამ კუთხით – მოქალაქეებში შეგნების ამაღლება კულტურული მემკვიდრეობისა და სიძველეთა დაცვისთვის.

დრო არ იცდის, ეროვნული საუნჯე ნადგურდება!

ბესიკ დულაშვილი

სანდრო ახმეტელის მუზეუმთან დაკავშირებით დეზინფორმაცია გავრცელდა

ცნობილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის მუზეუმთან დაკავშირებით დეზინფორმაცია გავრცელდა.

მხატვარმა უშანგი ხუმარაშვილმა გაავრცელა მოკლე ინფორმაცია და ჩამონგრეული სახლის ფოტოები:

– სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი კახეთში. მგონი, კომენტარს არ საჭიროებს.

განცხადებას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ხელმძღვანელობა გამოეხმაურა და ინფორმაციას მცდარი უწოდა:

– სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმის „უმეთვალყურეოდ“ მიტოვების შესახებ გავრცელებული ცნობა რეალობას არ შეესაბამება და ის მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ვითარების გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კოღოთოში მდებარე სანდრო ახმეტელის ყოფილი მუზეუმის შენობა აშენებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში საექსპოზიციო სივრცედ, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო მუზეუმს იქ არ უფუნქციონერია.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ სანდრო ახმეტელის მუზეუმის მეზობლად მცხოვრები უხუცესების გამოკითხვის შედეგად დაზუსტდა, რომ არათუ შენობა, არამედ ადგილიც კი, რომელზეც სამუზეუმო შენობა აშენდა, არასდროს წარმოადგენდა ახმეტელთა საცხოვრისს. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგიდან კოღოთოში 1891 წელს ახმეტელთა ოჯახის გადმოსახლების მიზეზი სანდრო ახმეტელის მამის კოღოთოს ეკლესიაში მღვდლად მსახურება იყო. ოჯახი სოფლის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა ერთ პატარა ოთახში, რომელიც ძველ სკოლასთან იდგა და რომელიც დღეს საერთოდ აღარ არსებობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სუხიშვილები გასტროლებზე ოკუპაციის საწინააღმდეგო პასპორტის ჩასადებებით დადიან

„ჩემი ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ“ – ეს წარწერა ამშვენებს პასპორტის ბუდეს, რომელიც შავ და წითელ ფერებშია და ჩასადების 20% მავთულხლართებით არის გამოყოფილი.

ორიგინალური იდეა ქართველებმა მალე აიტაცეს და პასპორტები ამ ბუდეებში მოათავსეს.

სუხიშვილებმა თურქეთში დაგეგმილი გასტროლების დროს საზღვარი ოკუპაციის საწინააღმდეგო პასპორტის ჩასადებებით გადალახეს. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქართული კულტურის, ცეკვის გარდა, უცხოელებს საკუთარი სამშობლოს ისტორიაც უამბონ და ყველას გააგებინონ, რომ საქართველო რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიწისქვეშა მშენებლობის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ემერიტუსი **თამაზ ჭურაძე**. მისი უშუალო მონაწილეობთ დაპროექტებულია ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორებიც არის ენგურჰესი, ხრამჰესი, ჟინვალის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი, ასუანის (ეგვიპტე) ჰიდროკვანძი და სხვა.

თამაზ ჭურაძის მოღვაწეობა განუხრელად არის დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. წლების განმავლობაში იგი იყო სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის დეკანი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ხიდებისა და სატრანსპორტო გვირაბების კათედრას. მაღალი პროფესიონალური ღირსებების გამო იგი ოთხი წლის განმავლობაში მიწვეული იყო ალჟირის რესპუბლიკის ქ. ანაბის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ფრანგულ ენაზე. თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მან აღზარდა მრავალი სპეციალისტი, მათ შორის სამ ათეულზე მეტი მაგისტრი და ათზე მეტი აკადემიური დოქტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი თამაზის მოღვაწეობა მისი თაოსნობით შექმნილ საქართველოს გზების, ხიდებისა და გვირაბმშენებელთა ასოციაციის პრეზიდენტის პოსტზე. იგი იყო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს წევრი და მისივე დაარსებული სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალის „ტრანსპორტის“ მთავარი რედაქტორი.

თამაზ ჭურაძე იყო შესანიშნავი მეუღლე, გულისხმიერი მამა, მოსიყვარულე ბაბუა და უღალატო მეგობარი.

თავისი ცხოვრების წესით, გაწეული ღვაწლითა და სამშობლოსთვის გაკეთებული საქმეებით ბატონ თამაზსაც შეეძლო ეთქვა:

„და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას!“

დიახ, წავიდა დიდი მეცნიერი, მზრუნველი მეოჯახე, გულიანი პატრიოტი და მეგობრების საყვარელი ადამიანი. იძინე მშვიდად მარადიულ სასუფეველში. შენს სახელს დავიწყება არ უწერია!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

კალეიდოსკოპი

ჟოკეის ოთხმეტრიანი პითონი თხრილი ეგონა

ავსტრალიელმა ჟოკეიმ პითონი ჩვეულებრივ თხრილად მიიჩნია. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ახალი ამბების პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი ავსტრალიის ქალაქ კერნსიში მოხდა. ჟოკეი მასაიუკი აბე დილის 5:30 საათზე წინაღობებზე ხტომების დახვეწაზე მუშაობდა, როდესაც დარაჯმა დაუყვირა: „ფრთხილად, იქ დიდი გველია“, მაგრამ მხედარმა მისი ბოლო სიტყვები ვერ გაიგონა და ვარჯიში გააგრძელა, მხოლოდ ბოლო წრეზე მიხვდა, რომ ის, რაც მას მთელი ვარჯიშის დროს თხრილი ეგონა, სინამდვილეში რომბისებური ოთხ-ნახევარი მეტრი სიგრძის პითონი იყო.

– ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს გველი იყო, ვინაიდან აქამდე ასეთი დიდი გველი არასდროს მინახავს. ორ წამში მივხვდი, თუ რას მიყვიროდა დარაჯი და ძალიან შევშინდი, – განაცხადა ჟოკეიმ. მან იქვე აღნიშნა, რომ ძალიან გაუმართლა, რომ მისმა ცხენმაც ვერ შენიშნა ქვეწარმავალი, არ დაფრთხა და ძირს არ ჩამოაგდო.

ცხენოსნობის კლუბის დირექტორმა ჯონ კემერონმა აღნიშნა, რომ გველმა მისი დაწესებულების ტერიტორიაზე პირველად შეაღწია.

ვეშაპი ნაგავმა იმსხვერპლა

ესპანეთის სანაპიროზე ნაპოვნი მკვდარი ვეშაპის კუჭსა და ნაწლავებში 29 კილოგრამი ნაგავი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას ვაშინგტონ პოსტი ავრცელებს.

მკვდარი ვეშაპი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პალოსის კონცხზე მდებარე შუქურის მახლობლად აღმოაჩინეს. გაკვეთის დროს გაირკვა, რომ ცხოველის კუჭი და ნაწლავები ნარჩენებით იყო სავსე. სხვადასხვა ნარჩენს შორის იყო ნაგვის ტომრები, პოლიპროპილენის პაკეტები, თოკები, სათევზაო ბადეების ფრაგმენტები და დოლიც კი.

ვეშაპის დაღუპვის შემდეგ ესპანეთის მურსიას რეგიონის ხელისუფლებამ ნარჩენებთან ბრძოლის კამპანია წამოიწყო. მის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი პლაჟების დასუფთავება, იმ ნაგვის რაოდენობასა და ტიპზე მონაცემების შეგროვება, რომლებიც ზღვაში ხვდება და მოსახლეობის გაფრთხილება იმ პრობლემებზე, რომლებსაც წარმოქმნის პლასტიკატის შეუზღუდავი რაოდენობით მოხმარება და მათი წყალსატევებში გადაყრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16 აპრილისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4162
- ევრო — 2.9811
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4530
- 100 რუსული რუბლი — 3.9216

ამინდის პროგნოზი 16 აპრილისთვის

5 აპრილიდან

150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

3 აპრილიდან

79 ამბავი ზვიად გამსახურდია

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

37 წლის წინ გაქცეულ პატიმარს დედის ნეკროლოგით მიაგნეს

დედის ნეკროლოგმა გასცა გაქცეული ამერიკელი პატიმარი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ახერხებდა, სამართალდამცავებს დამალვოდა.

რამდენიმე დღის წინ სამუშაო ადგილზე დააპატიმრეს 58 წლის სტივენ მაიკლ პერისი, რომელიც გამოგონილი სახელითა და გვარით ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში ცხოვრობდა. მას 1981 წლის ოქტომბრიდან ეძებდნენ.

1980 წელს პერისს ცხრა წლით პატიმრობა მიუსაჯეს ნარკოტიკების შენახვა-გასაღებისთვის. სულ 19 თვის შემდეგ მან ოკლაჰომაში მდებარე ციხიდან გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც ის აშშ-ის ყველაზე აქტიურ ძებნაში მყოფი დამნაშავეების სიაში შეიყვანეს.

პერსის პოვნა მხოლოდ დედამისის გარდაცვალების შემდეგ მოხერხდა. ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში მისი შვილი იყო ნახსენები, რომელიც ჰიუსტონში ჩავესის გვარით ცხოვრობდა. ის იპოვეს და მისი თითების ანაბეჭდები შეამოწმეს, რომელიც გაქცეული პატიმრისას დაემთხვა.

ბანგკოკში თემატური კაფე გაიხსნა

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში გაიხსნა თემატური კაფე, რომელიც სიკვდილს ეძღვნება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

დაწესებულების წინ ტროტუარს ამშვენებს ფირნიში წარწერით: „რაში მდგომარეობს შენი ცხოვრების არსი?“. კაფეს ცენტრში დგას თეთრი ფერის კუბო. კლიენტებს, რომლებიც დათანხმდებიან, თავდახურულ კუბოში რამდენიმე წუთი გაატარონ, ფასდაკლებას სთავაზობენ.

კაფეს მფლობელის, სოციოლოგ ვირანუტა როჯანაპრაპის თქმით, ის ასეთი სახით ცდილობს შეახსენოს ტაილანდელებს ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლის შესახებ.

– როდესაც ადამიანებს საკუთარი მომავალი გარდაცვალება ახსოვთ, ისინი სიკეთეს აკეთებენ, – განმარტა მან, – ასე გვასწავლის ჩვენი ღმერთი ბუდა.

როჯანაპრაპი მიიჩნევს, რომ რამდენიმე წუთის კუბოში გატარება განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს მოზარდებზე.

– როდესაც ისინი კუბოში წვებიან და ჩვენი თანამშრომლები მას სახურავს ახურავენ, სიბნელისა და სივიწროვის გამო სრულად შეიგრძნობენ საკუთარ თავს... და ახსენდებათ ისეთი საქმეები, რომლებიც ჯერ არ გაუკეთებიათ, – აცხადებს როჯანაპრაპი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი...

უმაღლეს სასწავლებელში ტელეფონი რეკავს:

– ალო! თქვენი სტუდენტი გაუპატიურების მცდელობისთვის დავაკავეთ.

– გაუპატიურების მცდელობის, თუ გაუპატიურებისთვის?

– მცდელობისთვის.

– მაშინ ის ჩვენი სტუდენტი არ იქნება.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არასოდეს გააკრიტიკო სხვისი ცოლი.

– რატომ?

– იმითაც კმაყოფილი უნდა იყო, რომ ის სხვისი ცოლია.

●●●

ამბობენ, ფული – ბოროტებაა! აი, თურმე რატომ ვარ ასეთი კეთილი.

●●●

შვილი ჭიაყელა დედას ეკითხება:

– მამა სადაა?

– ადამიანებმა სათევზაოდ წაიყვანეს.

●●●

გაიგო რა ქალმა, რომ მისი ყოფილი ქმარი ახალგაზრდა მეზობელ გოგონაზე აპირებდა დაქორწინებას, სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ გოგონას მამას გაჰყვა ცოლად და ყოფილი ქმრის სიდედრი გახდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– დილას როგორ იწყებ?

– ვარჯიშით.

– მართლა? და რას აკეთებ?

– ავდგები, დავიხრები, ჰანტელებიდან მტვერს გადავწმენდ, მერე ამოვისუნთქავ და სამზარეულოში მივდივარ სასადილოდ.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, გინეკოლოგი ვინ არის?

– ვინ არის და ის ადამიანია, რომელიც პრობლემებს ეძებს იქ, სადაც სხვები სიამოვნებას იღებენ.

●●●

ქუჩაში შუახნის მამაკაცი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, რამდენი წლის ხარ?

– დაგიჭერენ, ბიძია, დაგიჭერენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

28 მარტიდან

130 ამბავი ლუდი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

დინამოსა და დელტას გამარჯვებები

დელტა-ოლიმპი 86:78
(21:21, 23:22, 21:13, 21:22)

გუნდები, რომლებიც ცხრილის ქვედა ნახევარში არიან და ფლეი ოფის წინ ადგილების გადასანაწილებლად იბრძვიან. ქვემოქართლელებს ეს ნაკლებად ეხებათ, რადგან ცხრილში მათ წინ მყოფი გუნდები სოლიდური უპირატესობით არიან წინ და დარჩენილ ტურებში ამ სხვაობის გაბათილება ძალიან რთული იქნება. ოლიმპი კი თითქმის თანაბრადაა მეტოქეებთან და თითოეულ ქულას სატურნირო თვალსაზრისით ამ გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მარნეულელებმა წინა მატჩში, უფრო ზუსტად კი მისი დასრულების შემდეგ, დიდი დანაკლისი განიცადეს. მგზავრებთან მატჩში 2 ტექნიკურის გამო მოედნიდან გაძევებულმა ლევან ფაცაციამ არბიტრს დავით ბერეკაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და დისციპლინარების ვერდიქტით, მისთვის სეზონი დასრულებულია. მიუხედავად ასეთი დიდი დანაკლისისა, ქვემოქართლურმა გუნდმა თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში ოლიმპს აჯობა და საბოლოოდ 86:78 გაიმარჯვა.

ამ წაგებამ ოლიმპი ცხრილში მგზავრებთან გაათანაბრა: ორივე გუნდს 13 მოგების წილ 14 მარცხი აქვს, ცხრილში 6-7 ადგილებს იყოფენ და საამსეზონო რეგულარულ პირველობაზე ოთხეულში მოხვედრის შანსი დაკარგეს. რაც შეეხება დელტას, ქვემოქართლელებმა ამ მოგებით ხსენებულ წყვილთან ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს, თუმცა დარჩენილ 4 ტურში მათთვის სავარაუდოდ არაფერი არ შეიცვლება და რეგულარულ ჩემპიონატს მე-8 ადგილზე დაასრულებენ.

ოლიმპთან მოგებულ მატჩში დელტას 26 ქულით ნიკოლას ნილმა ულიდერა. 16 ქულა მიითვალა არტიომ შვეცმა, 12-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და ორმაგი დუბლი შეასრულა. ორმაგი დუბლი მიითვალა დეანდრე რეიმაც – 11 ქულა, 12 მოხსნა. ოლიმპში 18 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო მორის ჰილი. 19 ქულით ბომბარდირი გივი ბაქრაძე გახდა, რომელმაც ასევე 6 პასი მიითვალა.

დინამო-სოხუმი 110:85

მატჩში წინასწარ გამოცხადებული შედეგი გახლდათ. ბოლო ადგილზე მყოფმა და მხოლოდ 1 მოგების მქონე სოხუმმა მორიგი მატჩი დინამოსთან წააგო. წამყვანი ლეგიონერების გარეშე დარჩენილმა სოხუმელებმა მოქმედ ჩემპიონს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და შეხვედრა 85:110 დათმეს.

ერთბაშად შვიდმა დინამოელმა ათქულიანი ბარიერი დაძლია, რომელთაგან 18 ქულით საუკეთესო იყო ნოდარ გოგოძე. 16 ქულა კაელ ტურპინმა დააგროვა, ხოლო 14 – ლაველ ბოიდმა. სოხუმში 26 ქულით ლევან რევაზაშვილი გამოირჩა. 15 ქულა და 14 მოხსნა სერგეი პრიმაკის ანგარიშზე დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	27	19	8	2264:2059	46
2.დინამო	28	18	10	2344:2154	46
3.რუსთავი	28	18	10	2279:2176	46
4.კაკტუსი	27	17	10	2230:2174	44
5.ბათუმი	28	15	13	2169:2035	43
6.ოლიმპი	27	13	14	2096:2081	40
7.მგზავრები	27	13	14	2151:2239	40
8.დელტა	28	10	18	2275:2369	38
9.სოხუმი	28	1	27	2095:2616	29

მოამზადა მისეილ ყორეოლიანმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 5. მდინარის თევზი; 6. ტროპიკული მცენარე სქელი, უფოთლო, ეკლებიანი ღეროთი; 8. კიდური; 9. საგუშაგო, სათვალთვალო პუნქტი; 10. გაზაფხულის თვე; 11. შინაური ცხოველი; 13. ვეშაპების რაზმის ცხოველი; 14. შაშხი; 16. ნათესების მავნებელი მწერი; 18. ჭია; 20. ცხენოსანი გვარდიელი ნაპოლეონის პირად დაცვაში ეგვიპტეში ლაშქრობისას; 21. პატარა სწრაფმავალი ტანკი.

შვეულად: 1. სურნელოვანი ნივთიერება; 2. უშნოდ მაღალი, აყლაყუდა; 3. რისამე საზომი, შაბლონი; 4. მაღაზიის ფანჯარა გასაყიდი საქონლის გამოფენილი ნიმუშებით; 5. ზღვის მოლუსკი გემრიელი ხორცით; 7. „კვირის ...“; 11. ბანქო; 12. ამერიკული ავტომობილი; 13. წერილობითი გამონვევა დუელში; 14. ქიმიური ელემენტი; 15. ზღვის ყაჩაღი; 17. ერთგვარი მხატვრობა მშრალ კედელზე; 19. ფეხბურთის მეფე.

შეადგინა ოლივერ კოხიამ